საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №40 (584) შაბათი, 27 თებერვალი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 25 თებერვალს მდინარე გუმისთაზე მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიური ხასიათის პოზიციური ბრძოლები არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით. მოწინააღმდეგე ცდილობდა, წინა ხაზზე გადმოესროლა ცოცხალი ძალა და ტექნიკა, მაგრამ საპასუხო საარტილერიო ცეცხლი ამის საშუალებას არ აძლევდა.

15 საათისათვის აფხაზურმა მხარემ ჭურვები დაუშინა რუსეთის მედესანტეთა ბატალიონის განლაგების ტერიტორიას — ე. წ. „გრეჩკოს აგარაკს". რუსმა ჯარისკაცებმა ააფრიალეს რუსეთის სახელმწიფო დროშა, მაგრამ ამით ცეცხლი არ შეწყვეტილა. წინასწარი მონაცემებით, დაჭრილია 4 რუსი ჯარისკაცი.

იმავე დღეს ტყვეთა გამცვლელი კომისიის მიერ გუდაუთიდან გამოყვანილი იქნა 24 ოქტომბრიდან ტყვეობაში მყოფი გაგრის მხედრიონის წევრი პაატა გიგინეიშვილი და მასთან ერთად ორი ქართველი მოქალაქე ილო მანჯგალაძე და შოთა კალანდაძე, რომლებიც ტყვეობაში მოხვდნენ 14 თებერვალს.

ოჩამჩირის რაიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების 24-ე ბრიგადის მებრძოლებმა პოლკოვნიკ გია ვაშაკიძის მეთაურობით განახორციელეს შეტევითი ოპერაცია კუტოლი, მერკულა, ბესლახუბის მიმართულებით.

ოპერაცია წარმატებით განვითარდა, ქართველმა მეომრებმა მტერს მიაყენეს საგრძნობი ზარალი, მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ დასახელებულ სოფლებში.

იოსებ გოგეჩია.

ომის პერიოდის კანონებით

ქალაქ სოხუმში სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული დაძაბულობის შენელების მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა იმ უპირველეს პრობლემათა ნუსხა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას და დაინიშნა პასუხისმგებელნი მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. შესაბამის სამსახურებს დაევალათ ამა წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ ქალაქ სოხუმის, აგრეთვე სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ელექტროენერგიითა და წყლით, აგრეთვე პურპროდუქტებით მომარაგება.

გადაწყდა, შემოიღონ იქ სადღეღამისო მორიგეობა, უზრუნველყონ წესრიგი ამ საწარმოებში და მათი სამხედრო დაცვა, კონტროლი დაუწესონ ქალაქის სავაჭრო წერტილებში პურპროდუქტების განაწილებას.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით გადაწყდა დაიწყონ პატრულობა ქალაქ სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოხუმის გარნიზონისა და კომენდატურის ძალებით, განაახლონ და გააძლიერონ მუშაობა მოქალაქეებისა და სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ავტომანქანების შემოწმების მიზნით. საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობას აფხაზეთში დაევალა სამხედრო პოლიციასთან ერთად სათანადო დისციპლინა დაამყაროს სამხედრო ფორმირებების პირად შემადგენლობაში.

თენგიზ ჯიბუტი.

ამ დღეებში

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

რეპორტაჟი ომიდან

მშვიდად არ სძინავს საყვარელ ქალაქს

არმაზ სანებლიძე

მეშვიდე თვეა, ომია. მეშვიდე თვეა, სოხუმი ფრონტისპირა ქალაქია და ამას ისე შევეჩვიეთ, რომ უკვე სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია. სამწუხარო ადაპტირებაა ცნობიერებისა ყოფიერებასთან.

დაბომბეს სოხუმი.

ისევ დაბომბეს: 20 თებერვალს— ტრაგედია.

იყო საღამოს 10 საათი და 55 წუთი. ადამიანებს ეძინათ ან ემზადებოდნენ დასაძინებლად.

არავის უწყის, სად მოგნახავს სიკვდილი, ასეთი, საჭურისების ბილწი ბოროტება.

რა იყო ეს? ჭორები დასრიალებს ქალაქში: ეშერის სამხედრო ლაბორატორიის დაბომბვის საპასუხო აქცია (აფხაზები იკისრებენ შემდეგ პასუხისმგებლობას?!), ჩვენ თვითმფრინავსაწინააღმდეგო საცეცხლე პოზიციების დაზვერვა, თუ ძალისმიერი შანტაჟი?

ახლა ამის გარჩევის დრო არ არის. ერთი კია: რამდენიმე დღის განმავლობაში სოხუმში 20 თებერვლის მოსალოდნელ დაბომბვაზე ლაპარაკობდნენ. დადასტურდა. შეგნებულად გამოჟონილი ინფორმაცია (?), რომლის ეფექტსაც საჭირო დროს სასურველი კოეფიციენტით გამოიყენებს გუმისთის იქით განლაგებული სამხედრო ძალები.

• • •

ხალხი — გამწარებული და უცრემლო, სასოწარკვეთის ზღვარზე და თავგადადებული ყველაფრისათვის.

ნასახლარები — ნანგრევები ქალაქის ცენტრში, ჭირისუფლები და მათი ჭირისუფლები.

21 თებერვალი, 15 საათი.

სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მოვიდნენ ეშბას ქუჩაზე.

რკინის მოაჯირი ისე ჰკიდია სახურავჩაქცეულ სახლს, როგორც უსასოობით დამბლადაცემულს ხელები, შეეხები და ცვივა ბათქაში თუ ბეტონის ნაგლეჯები.

— სოხუმლები უკან არ დავიხევთ, ოღონდ თქვენგან გვინდა მხარდაჭერა.

— იარაღი გვინდა, ბატონო ედუარდ, მეტი არაფერი. ჩვენ კიდევ ჩავდგებით რიგში და ვინ რას გვიზამს, იმასაც ვნახავთ!

— სამოცდაათი წლისა ვარ და ავიღებ მე იარაღს... ისეთ ხალხს აქვს იარაღი, ვინც ჯარში არ ყოფილა; ასვრის დღე და ღამე. ტანკისტი კაცი ვარ, დამსვი ტანკაზე და გადიუვლი მე მაგათ.

— კი, გაგრა დავკარგეთ, მაგრამ სოხუმი არ უნდა დავკარგოთ...

— უკანდახევაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ერთ მტკაველ მიწას ვერავის დავუთმობთ, — უპასუხებს თენგიზ სიგუა, — ვინც მაგას იტყვის, ის საქართველოს მტერია.

— ყველა ომის მონაწილე ვარ— გერმანია, კიტაია, იაპონია. რაზე ვიბრძოლე, ამ რუსებმა ახლა რომ მომკლან?

და მისდევს რეფრენად ამდენ შეხაძილს, ამდენ ტკივილს, ამდენ თხოვნას ედუარდ შევარდნაძის სიტყვები:

— გვეშველება, ჩვენ ყველას გვეშველება, იმათ აღარაფერი ეშველება, ვინც დაიღუპა... მეც თქვენთან ერთად დავდგები, თქვენთან ვიქნები.

• • •

ერთი საათით ადრე სახელმწიფოს მეთაურმა, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა ბრძანებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. კონკრეტული საკითხები, ზუსტი ვადები და პასუხისმგებელი პირები — ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა, კელასურის წყალსაქაჩის რეკონსტრუქციის დამთავრება, სასწრაფო დახმარების, სანიტარული დასუფთავების ავტომანქანების, ავტოცისტერნის, დიზელგენერატორების, სამშენებლო, საწვავ-საპოხი მასალების, სასუქების გამოყოფა, ყოველთვიურად სამი ათასი ტონა ფქვილით აფხაზეთის მომარაგება და ასე შემდეგ ცალ-ცალკე ჩამოთითოებული. ამავე დადგენილებით ომის ინვალიდების სამკურნალოდ და მათთვის დიაგნოსტიკური ცენტრის ჩამოსაყალიბებლად აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაეცა დასასვენებელი სახლისა და საავადმყოფოს შენობები, გათვალისწინებულია სახსრების გამონახვა რეანიმობილისა და „ხელოვნური თირკმლის" აპარატის შესაძენად და კიდევ ბევრი რამ.

მაგალითად, აქტიური ღონისძიების განხორციელება მართლწესრიგის აღსადგენად, ინფორმაციული უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. გენერალური პროკურორი და შინაგან საქმეთა მინისტრი სოხუმს მიავლინეს გამოცდილი მუშაკების ბრიგადას სამართალდამცავი ორგანოების, უპირველესად კი — ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურის მიერ აღძრული საქმეების დროულად დასამთავრებლად.

სამხედრო მდგომარეობამ უნდა განსაზღვროს დღეს სოხუმსა და,

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: ბატონები ედუარდ შევარდნაძე და თენგიზ სიგუა ქართველ მეომრებთან ოჩამჩირეში, 22 თებერვალი.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტო. („საქართველოს რესპუბლიკა").

რუსუდან ბერიძე:

საკუთარ პასუხისმგებლობაზე უფრო მეტი უნდა ვილაპარაკოთ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში რუბრიკით „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში" გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე მიღებულ კომუნიკესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში გამართული დისკუსიის შედეგად მიღებული დადგენილებების გამო გამართული კენჭისყრის შედეგები. ამ ფაქტის გამო განმარტება ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს რუსუდან ბერიძეს.

— როგორც იცით, — გვითხრა ქალბატონმა რუსუდანმა, — საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ, რომლის თანახმადაც წინადადებას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ან პარლამენტის წევრთა ჯგუფი პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის რაოდენობით. საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისია წინასწარ განიხილავს სადენონსაციოდ წარმოდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას და იძლევა შესაბამის დასკვნას. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკე საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის სამუშაო ვიზიტის შესახებ უარყოფითად შეფასდა ჯერ პარლამენტის კოლეგიაზე, შემდეგ კი თვით პარლამენტის სხდომაზე, კანონი მოითხოვდა, რომ კომუნიკეს ბათილად ცნობის წინადადება, რომელიც წარმოადგინა ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ და რომელსაც ხელს აწერდა პარლამენტის 68 წევრი, ჯერ დასკვნისათვის გადაცემოდა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიას.

რამდენიმე დღეში ეს კომისია პარლამენტს წარუდგენს თავის დასკვნას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პარლამენტის წევრების თითქმის ერთსულოვან უარყოფით დამოკიდებულებას კომუნიკეს მიმართ, იგი უთუოდ ბათილად იქნება ცნობილი.

— ასეთ ვითარებაში, ბუნებრივად იბადება კითხვა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ამ მოლაპარაკების დროს უფრო მიზანმიმართულად რომ ემოქმედათ, ალბათ ამგვარი თავსატეხიც არ გაუჩნდებოდა პარლამენტს?

პარლამენტში — განმარტებისათვის

— ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ბატონებს: ვახტანგ რჩეულიშვილს, ალექსანდრე კავსაძეს და რომან გოცირიძეს პარლამენტის სხდომაზე უფრო მეტი ელაპარაკათ საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ.

პარლამენტის წევრებზე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა მათ მიერ თავისი პოზიციის თავგამოდებულმა დაცვამ. ამ ფაქტმა გვიჩვენა, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზები გვქვს მოლაპარაკების წარმოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებში. ამის გასამართლებლად შესაძლოა ჩვენი პარლამენტის გამოუცდელობა დავასახელოთ. ასე რომ, კომუნიკესთან დაკავშირებული დებატები ალბათ სასარგებლოც იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მომავალში ასეთი ხარვეზები აღარ დავუშვათ.

— ისევ დავუბრუნდეთ გუშინდელ პუბლიკაციას, რომელიც ასახავს ამ საკითხზე გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგებს. ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი სიების გამოქვეყნება ჯერ კიდევ უცხო ხილია რიგითი მკითხველისათვის.

— მართალი ბრძანდებით, რაც შეეხება სახელობითი კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნებას, ეს პარლამენტის წევრთა მოთხოვნა იყო. საზოგადოდ კი, სახელობითი კენჭისყრა ტარდება იმისათვის, რომ პარლამენტის თითოეულმა წევრმა თავისი პოზიცია გამოხატოს და თავისი პასუხისმგებლობის წილი იკისროს განსაკუთრებით მწვავე საკითხების გადაწყვეტის დროს. ამომრჩევლებმა უნდა იცოდნენ, რა პოზიცია აქვს მათ მიერ არჩეულ პარლამენტის წევრს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — კომუნიკეს ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. მათი აზრი, ვინც ხმა მისცა კომუნიკეს ბათილად ცნობისა და აგრეთვე ამ საკითხის გადადებას უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა.

— ქალბატონო რუსუდან, ამ ფაქტიდან გამომდინარე, როგორია პერსპექტივა ჩვენი შემდგომი მოლაპარაკებისა რუსეთის ფედერაციასთან?

— ვფიქრობ, ამ დებატებს სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. გადაწყდა, რომ მომავალ სამშაბათს პარლამენტში დაიწყოს ფართო დისკუსია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ამ დებატებს საფუძვლად დაედება რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებათა ის პროექტები, რომლებზეც მუშაობა კარგახანია მიმდინარეობს.

იქამდე გაიმართება საქართველოს პარლამენტის კოლეგიის სხდომა, რომელიც მოამზადებს ამ დისკუსიას, რითაც პარლამენტი განსჯის და პასუხს გასცემს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელ რიგ მწვავე საკითხებს.

რაც შეეხება შედეგს — ამაზე დისკუსიის შემდეგ მოგახსენებთ.

ესაუბრა
გია ბედუკაძე.

აქტუალური ინტერვიუ

დემურ დვალიშვილი:

ბანკი ყელში კი არ უნდა უჭერდეს, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს ჩვენს დასნეულებულ ეკონომიკას გამოსაცოცხლებლად

სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ბატონ დემურ დვალიშვილთან — საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრა. იგი საზღვარგარეთის ქვეყნების ხშირი სტუმარია, ხოლო როცა თბილისშია, უმეტესწილად უცხოელ ბანკირებსა და ფინანსისტებს მასპინძლობს.

— ბატონო დემურ, ეს დღეებია დაბრუნდით საზღვარგარეთიდან, რას გვეტყვით, რით გაგვახარებთ?

— ვიზიტი შედეგიანი გამოდგა: ბრილიანტის, ზურმუხტის, ლალის, საფირონის და სხვა პატიოსანი თვლების შეძენის თაობაზე მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. მოკლე დროში საქართველოს შეემატება დიდი ოდენობისა და ღირებულების განძეულობა.

— აგაშენათ ღმერთმა, განძის შეძენას რა სჯობს, მაგრამ ამ დიდი აშლილობისა და შეჭირვების ჟამს მისი შესყიდვა რა აუცილებლობით არის გამოწვეული?

— ასეთი ნაბიჯის გადადგმა, სწორედაც რომ, აუცილებლობამ გვიკარნახა. დღეს-ხვალ საქართველოს საკუთარი ვალუტა დასჭირდება. ვალუტას კი, როგორც მოგეხსენებათ, განძეულით შესაბამისი უზრუნველყოფა სჭირდება. თუ განძეული არ გვექნა, არც ვალუტა გვექნება, რადგან ის თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს.

— რა დაგიმალოთ, ხალხი დიდად შეშფოთებულია იმით, რომ რუსეთი ფულს აღარ გვაძლევს. ჯერ რა ხელფასებია და, ისიც თუ ვერ მივიღეთ, თავი რით გავიტანოთ?

— რეალობას ვერსად გავექცევით, ფულის ნიშნებით უზრუნველყოფაში მართლაც კრიზისული სიტუაცია შეგვექმნა. წლის პირველ ნახევარში რუსეთისგან 60 მილიარდი მანეთი გვეკუთვნის. ვითომ უარს არ გვეუბნებიან, გვპირდებიან, მაგრამ მოცემით კი არაფერს იძლევიან. თუ მთლად გულახდილი ვიქნები, ჩვენგან არაოფიციალურად მოითხოვენ, მოაწერეთ ხელშეკრულებას ხელი, თორემ ვერაფერს მიიღებთო. რა დასამალია, ამით რუსეთმა გამოძებნა საშუალება, რომლითაც ხიბში მოგვაქცევდა. ფაქტია, თუ ფული არ მივიღეთ, ახლო მომავალში ხელფასების გაცემასაც კი ვერ შევძლებთ.

— როგორ ფიქრობთ, არ შეიძლებოდა ადრევე მიგვეღო ზომები, რათა ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავით?

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ეტყობა, ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ დავუშვით შეცდომა, როცა ბალტიისპირეთისა და უკრაინის გამოცდილება არ გავიზიარეთ და მიმოქცევაში ფულის შემცვლელი კუპონები არ შემოვიღეთ. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ამ საკითხს შარშან მაისიდან ვაყენებდით კიდეც, მაგრამ მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკების დარწმუნება ვერ შევძელით და მწარე რეალობის წინაშე აღმოვჩნდით, ახლა მთავრობა და ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დაშვებული შეცდომა უმოკლეს დროში გამოსწორდეს.

— კუპონებს თუ შემოვიღებთ, რუსული მანეთიც დარჩება მიმოქცევაში?

— ჩემი აზრით, იქნება რუსული მანეთიც და კუპონებიც. ეს იქნება ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, ვიდრე საკუთარ ვალუტას გამოვუშვებდეთ.

— ეს სამომავლო საქმეა, ბატონო დემურ, დღეს კი ასეთი კითხვა მინდა დაგისვათ: ტოტალიტარული რეჟიმი დაინგრა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ეროვნული ბანკიც შევქმენით, მაგრამ ამ უკანასკნელმა თუ შეიცვალა ფუნქციები? ხომ არ მოხდა ისე, რომ ბანკმა სახელი შეიცვალა, სტრუქტურა და ფუნქციები კი ძველი დარჩა?

— ასეთი კითხვა მართლაც შეიძლება დაებადოს კაცს, მით უფრო, რომ ბევრ დარგში დღესაც ფაქტობრივად ძველი სტრუქტურები მოქმედებს. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მინდა გითხრათ, რომ აქ მდგომარეობა დიამეტრულად შეცვლილია.. ტოტალი-

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი (ცენტრში) უცხოელ ბიზნესმენებთან შეხვედრისას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ნომერში

◉ წარმავალია და ცვალებადია მასის განწყობილება. 2

◉ პოეტს რომ შავი თეთრად მოეჩვენება. 3-4

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს

დადგენილება

საქართველოს-სომხეთის მაღალი წნევის გაზსადენის დაცვის გაძლიერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს ტერორისტულმა ბანდებმა რამდენჯერმე ააფეთქეს საქართველოს რესპუბლიკის მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე გამავალი საქართველო-სომხეთის მაღალი წნევის გაზსადენი, რომლითაც გაზი მიეწოდება სომხეთის რესპუბლიკისა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მთელი მოსახლეობა ამ ტერორისტულ აქტს აღიქვამს როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შუღლის ჩამოგდებისა და ისტორიულად არსებული მეგობრობის შერყევის მცდელობას და აღშფოთებას გამოხატავს მომხდარის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს **ადგენს:**

1. საქართველო-სომხეთის მაღალი წნევის გაზსადენი გამოცხადდეს საგანგებო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტად და შემოღებულ იქნეს მისი დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი.
2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღოს სასწრაფო ზომები ამ გაზსადენზე ტერორისტული აქტების აღსაკვეთად და საიმედოდ დასაცავად.
3. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს თ. ხაჩიშვილს, რომელმაც მიღებული ზომების შესახებ 1993 წლის 15 მარტამდე მოახსენოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 24 თებერვალი, 1993 წელი.

საუბარი ელჩებთან

26 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში წარიმართა, შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს, აგრეთვე რეგიონალურ და გლობალურ პრობლემებს.

ამერიკის ელჩმა მიიღო ინფორმაცია საქართველოში ამჟამად შექმნილ ვითარებაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დღევანდელ ეტაპზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა კმაყოფილება და მადლიერების გრძნობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც სისტემატურად უწევს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანას.

ბატონმა კენტ ბრაუნმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი მთავრობის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი 100.000 ტონა მარცვალი უახლოეს ხანში შემოვა აქ. ამას გარდა, ელჩმა ვაშინგტონის დავალებით აცნობა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომ საქართველოსათვის დასახმარებლად დამატებით გამოიყო 55.000 ტონა მარცვალი.

სახელმწიფოს მეთაური და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი შეთანხმდნენ, რომ ორშაბათს, 1 მარტს საქართველოს პარლამენტის შენობაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ამერიკის ელჩი ხელს მოაწერენ ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დააკმაყოფილებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უცხო ქვეყნებისათვის ვაჭრობაში განსაკუთრებული ხელშეწყობის რეჟიმს.

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი.

შეხვედრაზე იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე. განიხილეს კავკასიის რეგიონში შექმნილი რთული პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარება და სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ისაუბრეს ბატონი ედუარდ შევარდნაძის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომავალი ვიზიტის შესახებ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის განცხადება

1993 წლის 26 თებერვალს საქართველოს ტელევიზიის დილის საინფორმაციო-პუბლიცისტურ გადაცემაში „ალიონში" მონაწილეობა მიიღო რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ზემსკიმ, რომლის გამოსვლა საერთოდ კონსტრუქციული იყო. მაგრამ კორესპონდენტის კითხვაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის განცხადების გამო, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თავისი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების შესახებ, სცადა ახალი, ოფიციალური ინტერპრეტაცია მიეცა ამ გამონათქვამისათვის.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში საქართველოს პარლამენტის 25 თებერვლის სხდომაზე ერთმნიშვნელოვნად შეაფასა, როგორც მიუღებელი, ყოვლად უხეში განმარტება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების შესახებ.

რაც შეეხება რუსეთის ელჩის ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს მხრივ ნეგატიური რეაგირების შემდეგ მაინც გაიმართა ტელეფონით საუბარი ედუარდ შევარდნაძესა და პავლე გრაჩოვს შორის, სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ეგი არ შეესაბამება სინამდვილეს.

თათბირი აჭარის უმაღლეს საბჭოში

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის აჭარაში მომავალი ვიზიტთან დაკავშირებით გუშინ 26 თებერვალს, მოსკოვიდან ბათუმში დაბრუნებულმა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ გამართა თათბირი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ პრესის წარმომადგენლებიც.

— თვით მინისტრის გამოსვლა რუსეთის ტელევიზიით მე არ მომისმენია, — თქვა ასლან აბაშიძემ, — მაგრამ ვიცნობ კომენტარებს, რომლებიც მის გამოსვლას მოჰყვა. ბუნებრივია, ყველას შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი, მათ შორის მეც.

ვთვლი, რომ მინისტრს აქვს უფლება მოინახულოს თავის ქვემდებარე ქვეგანაყოფები, მითუმეტეს, როცა მათ ბევრი პრობლემა დაუგროვდათ. მაგალითად, აჭარაში დისლოცირებული გარნიზონი არ მარაგდება სურსათით, ნავთობპროდუქტებით. არის სოციალური საკითხებიც, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებსა და აქ მცხოვრებ ვეტერანთა ყოფასთან არის დაკავშირებული. ეს ის პრობლემებიცაა, რომლებიც ასახავს პოვებს ჩვენს ეკონომიკაზეც.

გავიგე რა, რომ პავლე გრაჩოვს გადაწყვეტილი აქვს მოინახულოს აჭარაში განლაგებული ქვეგანაყოფები, მე დავურეკე მას. მან გამაცნო თავისი მარშრუტი. ეს გახლავთ — როსტოვის ოლქი, კრასნოდარის მხარე, აფხაზეთი, აჭარა, სომხეთი, აზერბაიჯანი. ჩვენ შევთანხმდით, რომ შევხვდებით. ამიტომაც შევწყვიტე მოლაპარაკება მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდად არ სძინავს საყვარელ ქალაქს

რეპორტაჟი ომიდან

(დასასრული)

ალბათ, მთელს აფხაზეთში სახელმწიფოებრივი ურთიერთობების შინაარსი, მას უნდა დაეყრდნოს ყველა სტრუქტურის საქმიანობა. სამწუხაროდ, ასე არ არის, უდისციპლინობა ჩვენი ყველაზე დიდი უბედურებაა, — რამდენჯერმე გაიმეორა აფხაზეთში ჩატარებულ სხვადასხვა შეკრებაზე სახელმწიფოს მეთაურმა. ამიტომ უნდა ავამოქმედოთ სრული მოცულობით სამხედრო მდგომარეობის წესი და კანონი ყველა რგოლში და ყველა დონეზე. უმკაცრესი დისციპლინა, უკომპრომისო მომთხოვნელობა, რომელსაც არა მარტო არ ესადაგება უადგილო „გულკეთილობა“ და „მიმტევებლობა“, არამედ სისუსტისა და უძალობის გამომჟღავნებაა და, ეგებ, ღალატიც.

თუ ომია, ომი იყოს!

ზურგში სიმშვიდე უნდა იყოს: საომარ სიტუაციაში მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ხელისუფლების დამოკიდებულებას კრებებისა და მიტინგებისათვის.

პოლიტიკური კეკლუცობის დრო დღეს ნამდვილად არ არის აფხაზეთში, არავითარი „...ისტობის“. არავის გამო შუბლის ხეთქება გაყინულ ასფალტზე არ გაამარჯვებინებს ქართველობას და, ალბათ, ძალიან მიამიტი უნდა იყოს ვინმე, რომ დაიჯეროს: ჩრდილოეთელი შეიარაღებული ბანდები ჯერ გარკვევენ ქართველთაგან ვინ ვისი მომხრეა და ამის მიხედვით გადარჩეულებს დახოცავენ ან არ დახოცავენ (?!). იგივე წყარო გაგრის ტრაგედიის წინაც (იცოდნენ წინასწარ?) მსგავს ინფორმაციას ავრცელებდა, და რა ხატინი და ლიდიცეც იქ დატრიალდა, რა უბედურება, ჯერ კიდევ სრულად არავინ იცის.

დაინდეს ვინმე? ჰკითხეთ ლტოლვილებს: ჩაგვხოცეს, ჩაგვკაპეს. ახლა ისევ სურთ კერპის სისხლიან საკურთხეველზე მსხვერპლად შერეკონ ხალხი.

ამას ქართული ფაშიზმი ჰქვია.

მაგრამ ჩვენ აღარა ვართ ეგზალტირებული მასა ფანატიკოსებისა, — ჰაილ! — და სასაკლაოზე.

დამთავრდა!

გარკვეული წრეების მცდელობა — გაავრცელონ პროვოკაციული მოსაზრება მდინარე გუმისთას გაყოლებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოტანის შესახებ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ამხედრებას, ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ისახავს მიზნად.

ფანტასტიკური ტყუილია. რაც უფრო დაუჯერებელია იგი, მით უფრო აქტიურად უნდა გამოიყენო! — ესეც დოქტორ ჰებელსის მეთოდების ნუსხიდანაა, ჩვეულებრივი ფაშიზმია.

უმკაცრესად შეაფასა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ასეთი განწყობილების (დამარცხების განწყობილების) გავრცელების ყოველგვარი მცდელობა და ცალსახად — სოხუმშიც და ოჩამჩირეშიც განუცხადა ხალხს, რომ საქართველოს საზღვარი დარჩება იქ, სადაც საჭიროა, სადაც ისტორიულად იყო. ფიქრიც კი ახალი საზღვრის გავლებაზე დანაშაულია, თქვა მან.

ომი კი გრძელდება, ომი, რომელმაც დაღალა ხალხი. დაქანცა ფიზიკურად, მორალურად, გააღატაკა და გააუბედურა ბევრი ოჯახი.

ომი უნდა დამთავრდეს.

როგორ?

სახელმწიფოს მეთაურმა თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა:

— მე პირველი მომხრე ვარ მოლაპარაკებისა და დიალოგის. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ჩვენ მივუახლოვდით იმ მიჯნას, როდესაც მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

3 სექტემბრის შეთანხმება, რომელიც ყველას მოგვეწონა და ტაშს ვუკრავდით, ტყუილი გამოდგა. ახლა კვლავ მიმდინარეობს დიალოგი. აფხაზეთშიც მტკიცდება აზრი, რომ ქართველები და აფხაზები უნდა ელაპარაკონ ერთმანეთს, ქართველებისა და აფხაზების დიალოგი უნდა წამოიწიოს წინა პლანზე. ჩვენ ორი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. ერთი სამხედრო მიმართულებაა, მეორე — მოლაპარაკება.

ელცინს ნამდვილად არ უნდა საქართველოსთან ურთიერთობის გართულება, პირიქით, მაგრამ ისევე, როგორც ხანდახან ჩვენ ვართ უძლურები, უფრო მეტად უჭირს მას თავისი პოლიტიკის გატარება. ამას რეალურად წავაწყდით აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტისას.

ჩვენზე უფრო გაჭირვებულ ხალხს კიდევ როგორ უნდა ვთხოვოთ — გავიგეთ და შეგვინდეთ, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დიდია მსხვერპლი, დიდია უბედურება, მაგრამ ნურც გვიკვირს — რაც ვარსებობთ, ასეთია ჩვენი ბედი, ჩვენი და აფხაზებისაც. ასე ვართ სულ, ასეთ უბედურებაში, ყოფნა-არყოფნა, ან ვიქნებით, ან — არა. ასე ვიბრძვით 25-30 საუკუნეა. ახლაც ვერ ავცდით უფსკრულის პირას დგომას — ზოგი ჩვენი მიზეზით, უმეტესად — გარე რეაქციის მოქმედებით.

მაგრამ ამან არ უნდა დაგვაძაბუნოს, პირიქით. მაშინ გადავრჩებით, ან გავალთ ბოლომდე, ან სხვა მოვა და სხვაგვარად გადაწყვიტს საკითხს. თუ გამოუვალი, მდგომარეობა შეიქმნა, ჩვენ ჩამოვალთ, აქ დავრჩებით და დავიხოცებით.

თითქოს მარტივი ფორმულაა, მაგრამ დააკვირდით სახელმწიფოს მეთაურის ამ ემოციურად დატვირთულ გაფრთხილებას, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ამ შეშფოთებას — „სხვა მოვა“ — რეალური საფუძველი აქვს, მოდით, ნუ გავშიფრავთ, რადგან კარგ გამგონეებად ვითვლებით, მგონი.

არმია მაშინ იგებს ომს, როცა ზურგი აქვს ძლიერი, ცნობილი დებულებაა.

სოხუმი წინა ხაზიცაა და ზურგიც. ამიტომ ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვის სულერთი არ არის, თუ როგორი ორგანიზატორები არიან ის ხელმძღვანელები, ვისაც აფხაზეთის სამოქალაქო ხელისუფლება, ცალკეული დარგები აბარია, სხვადასხვა სტრუქტურას უდგანან სათავეში.

პირდაპირ გეტყვით — დამოკიდებულება კრიტიკულია. ერთ-ერთ შეხვედრაზე კორპუსის მეთაურმა ასე მიმართა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს წევრებს (რასაკვირველია, ზოგიერთთა მიმართ აქცენტირებულად): აქ უფრო მეტად დახმარებას ითხოვენ და ფაქტობრივად გამოდის, რომ ჩვენს ნაცვლად აკეთეთ საქმეო, ამუშავეთ ხალხი, თორემ რა ხელფასის დარიგებაზეა ლაპარაკი? რისთვის? უსაქმურობისათვის?

მაინცდამაინც შემკამათებელი იქ არავინ იყო.

(ერთი კია: კოორდინაცია სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების საქმიანობისა ისევე აუცილებელია, როგორც თვით სამხედრო ფორმირებებისა ერთმანეთში).

ბატონმა ზურაბ კერვალიშვილმა ფაქტობრივად (თუმცა, ტაქტიანად) იგივე თქვა, როდესაც განაცხადა, რომ აფხაზეთში ამჟამად არ არის არც ერთი საკითხი, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს და რომ ეს დაადასტურა მისი აქ ყოფნის ორი დღის მუშაობის შედეგებმა.

ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროთა ამოქმედება, მათ მიერ საქმიანი კონტაქტების დამყარება რესპუბლიკის თუ სხვა ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან აფხაზეთის ბევრ პრობლემას გადაჭრის ეკონომიკისა თუ სოციალურ სფეროებში. მაგრამ, არა ისე, მაგალითად, როგორც ამას აქაური ვაჭრობის მინისტრი აკეთებს, რომელიც, თურმე, მეორე თვეა, მოსკოვშია და სოხუმისა და აფხაზეთის ვაჭრობის ქსელი კიდევ უფრო დაცარიელდა.

* * *

არ დაიჯერებთ: ლორიკ მარშანიამ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ჟურნალისტები — 14 მამაკაცი და ორი ქალი 21 თებერვალს, ღამის 12 საათზე (ანუ ჩვენი სამუშაო დღის შემდეგ) სოხუმში ქორწილში წაგვიყვანა, ელიონა ჯინჯოლიას და იმზარ გოგიას ქორწილში. ალიონა აფხაზი გოგონაა (16 წლისაა ჯერ), იმზარი ქართველია.

ამ ექვსი თვის მანძილზე ეს მეორე ფაქტია ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაოჯახებისა.

ნადიმი ჭირის დროს?

მტრის ჯინზე?

არაფერი მსგავსი. ბუნებას თავისი გააქვს და ვერავითარ ომსა და რბევას ვერ დაუჯაბნია სიყვარული, რომელიც, სხვათა შორის, არც ერთი პარტიის პროგრამას არ ემორჩილება.

სოხუმის სამშობიაროში იმ დღეს 17 ახალშობილი იყო: ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები.

სინათლე არ არის — მანქანის აკუმულატორის შუქზე ამშობიარებენ, წყალი არ არის — მოაქვთ; პირობები — არავითარი. მაგრამ ამ ექვსი თვის მანძილზე სიკვდილიანობის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა სოხუმის სამშობიაროში. ორდინატორი ექიმი ზიზი ანთელავა და მთავარი ექიმი რევაზ სხულუხია დაგვიდასტურებენ, რომ ასეა ნამდვილად.

* * *

დილით — ნაყვავილარი თუ ჭორფლიანი ზღვა, სუფთა და კამკამა (საწარმოები აღარ აბინძურებენ, არ მუშაობენ რადგან), მკვდარი ზღვა — სანამ გაწვდება თვალი, ცარიელი, გაბითურებამდე დაკნინებული დიდებულებით.

სითბო — გაზაფხულის დესანტი. და დასკვნა: ასეთი ენერგიული, დაუღალავად ემოციური, შეუპოვარი, მკაცრი, მომთხოვნი საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე მე, პირადად პირველად ვნახე: უმაღლესი მთავარსარდალი იყო აფხაზეთში.

* * *

მეორე მსოფლიო ომის დროს მფრინავების ერთ საყვარელ სიმღერაში (მარკ ბერნესი რომ ასრულებდა) იყო ასეთი სიტყვები — მშვიდად შეუძლია იძინოს საყვარელმა ქალაქმა.

მღეროდნენ ამ სიმღერას რუსი და ქართველი ასები და ერთად ებრძოდნენ ფაშიზმს.

ასე იყო.

ჰქრიან სიძულვილის ქარები და ჩრდილოეთის ამ ქარებს გამოყოლილნი იმ რუსი პილოტების შვილიშვილები ბომბავენ სოხუმს, მათი პაპების მეგობრების მშობლიურ ქალაქს.

მძინარე ქალაქს.

სოხუმი-თბილისი.

მოვლენათა კვალდაკვალ

„ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“...

ლაზარე ზაქარიაძე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად კრიზისულ ფაზაში შევიდა. საპარლამენტო ვნებათაღელვა ამის ნათელი დასტურია. შევეცადოთ იმ ძირითადი მომენტების ფიქსირებას, რომლებიც განსაზღვრავენ ამ კრიზისის ანატომიას.

1. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი ხანია გასცდა ცივილიზებულ ფორმებს. სამი სექტემბრის ხელშეკრულების ფაქტობრივი დარღვევა შეიძლება განისაზღვროს როგორც „დიპლომატიური ღალატი.“ ხელშეკრულება სახელმწიფო დონეზე ყოველთვის გულისხმობს მისი დაცვის გარანტიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისეთმა ცივილიზებულმა ფორმამ, როგორიც დიპლომატიური ურთიერთობაა, ისეთი არაცივილიზებული შედეგი მოგვცეს, როგორიცაა კონფლიქტის ინსპირირება აფხაზეთში. უფრო ზუსტად ირიბი პერმანენტული ომი მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვამდე.

2. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკვე არ შეიძლება განისაზღვროს (ფაქტობრივად ასეა) როგორც ცალსახა სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ანუ ურთიერთობა სახელმწიფო დონეზე, რადგანაც ოფიციალურ მოსკოვს არ გააჩნია რეალური ძალაუფლება არა მარტო რეაქციულ ძალებზე, არამედ სამხედრო მანქანაზე, რომელიც ისევე არაერთგვაროვანია და სპექტრული (ამ სიტყვების ნეგატიური გაგებით), როგორც რუსული სახელმწიფოს პოლიტიკა. გრაჩოვის განცხადება ამის ნათელი დასტურია.

3. ე. წ. „კომუნიკე“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ნებსით თუ უნებლიეთ სრულებით ახლებურ პლანში წარმოაჩენს, ნათელი დასტურია იმ უცილო ფაქტისა, რომ რუსეთი წინასწარჩაფიქრებულ, წინასწარგანსაზღვრულ პოლიტიკას ეწევა საქართველოს წინააღმდეგ. ხელმოწერის დროს დაშვებული იქნა შეცდომა, თუმცა, ტრაგედია ამ შეცდომის არსში კი არ მდგომარეობს, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ანატომიაში, რომელსაც ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს: „ღალატიანი“.

4. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხელშეკრულებების ენაზე გაგრძელების აუცილებლობა კვლავ ძალაში რჩება, რადგანაც ჩვენ რეალური ძალა არ გაგვაჩნია რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებისა. ამასთან გადამწყვეტი რჩება დროის ფაქტორი. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს ფაქტორი, რაც უპირველეს ყოვლისა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საერთაშორისო სიბრტყეზე გადატანას გულისხმობს.

5. საქართველოში განლაგებულ რუსეთის ჯარებთან დიამეტრული დაპირისპირების ენა საკუთარ თავში უზარმაზარ განსაცდელს მოიცავს როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. პასუხისმგებლობა დიდია, სამხედრო ნაწილების სტატუსის და გასვლის ვადების განსაზღვრა, მიუხედავად სირთულეებისა, პოლიტიკური მეთოდებით უნდა მოგვარდეს.

6. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჩიხში მოექცა. ერთის მხრივ ჩვენ არ გაგვაჩნია რეალური პოტენცია რუსეთთან დაპირისპირებისა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას უკვე აშკარა საფრთხე ემუქრება. ადვილია კრიტიკა, ძნელია სვლა ასეთ მუდმივად ცვალებად და ამორფულ ეტაპზე, როგორიც დღევანდელი ეტაპია საქართველოს ისტორიისა. გონება არ ჭრის, რადგანაც არავინ იცის რა მოხდება ხვალ, ხოლო გული ვერ ასრულებს — რადგან არ არის ძალა.

7. ეროვნული ძალების გარკვეული ნაწილის მიერ სახელმწიფო პოლიტიკური ხაზის, როგორც რუსოფილური ორიენტაციის აღქმა შორს დგას რეალობისაგან, რადგანაც დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია არარეალურს ხდის ნებისმიერ ორიენტაციას, მათ შორის რუსულს. რუსეთის მიზანი ნათელია. ბუნდოვანია გზა და საშუალება რუსეთთან დაპირისპირებისა. რაც შეეხება, გახმაურებული აფეთქების ბატონ ირაკლი წერეთლისეულ შეფასებას, იგი ძალზე რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილოა. შევიკავოთ თავი ასეთი შეფასებებისაგან. იგი არ ზის სახელმწიფოს ინტერესში.

8. და ბოლოს: ჩვენ ერთხელ უკვე ვიწვნიეთ „გულის პოლიტიკის“ ნაყოფის სიმწარე. უფსკრული სურვილსა და შესაძლებლობას შორის საკუთარ თავში უზარმაზარ განსაცდელს მოიცავს. თუმცა ესეცაა: განსაცდელი განსაწმენდელია — გავიხსენოთ „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ ცხრა აპრილის შემდეგ. ცხრა აპრილის განსაცდელი კი ძალზე მსუბუქი შეიძლება აღმოჩნდეს იმ განსაცდელთან შედარებით, რომელიც გველის.

ახლა შევეცადოთ ფსიქოლოგიური, სულიერი კუთხით აღვიქვათ საგნები და მოვლენები, რადგან რაც არ უნდა ჩვენს ირგვლივ ვაფარფატოთ მზერა, ტრაგედია მაინც ჩვენი თავიდანვე იწყება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახალქართული პარლამენტი ისევე ჩიხშია, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩიხის ფესვები კი იმ დაპირისპირებაში მდგომარეობს, რომელიც ხშირად დაპირისპირების გამო ხდება და არა საქმის გამო. ერთი პატარა ნიუანსი: მოწერილ იქნა ხელი კომუნიკეზე, რომელშიც უამრავი ლაფსუსი გაიპარა. იმის მაგივრად, რომ აქცენტი შეცდომის გამოსწორებაზე გაკეთებულიყო, პარლამენტის ერთი ნაწილი გაიყო „ბრალდებულებად“ და „მბრალმდებლებად“. „ბრალდებულებმა“ თავი მამა აბრამის ბატკნებად წარმოადგინეს, „მბრალმდებლებმა“ კიდევ ლამის ჯვარცმა მოითხოვეს „ბრალდებულთა“. ვთქვათ სიმართლე: ჩვენი პოლიტიკური ცნობიერება ძალზე დაბალია, ჩვენ არა გვაქვს არც გამოცდილება და არც ჩვევა სახელმწიფოებრივი ფიქრისა, ბოლოს და ბოლოს საქართველოს ტრაგედია კომუნიკედან ხომ არ იწყება (წმინდა პრაგმატული თვალსაზრისითაც კომუნიკეში დაშვებული შეცდომები არაფერს წყვეტს). ესეც რომ არა, არ შეიძლება შეცდომა გაკვეთილად აღვიქვათ, ან სინანულის წყაროდ, ვიდრე ბრალდების, ან თავის მართლების საბაბად? ჩავუკვირდეთ ცოტა საკუთარ თავს, ჩავუღრმავდეთ და შეიძლება მასში უფრო პატარა ადამიანი დავინახოთ, ვიდრე თავი წარმოგვიდგენია. ბოლოს და ბოლოს სინანული აღმაშენებელსაც უთქვამს. კიდევ უფრო საინტერესოა ზოგიერთი პარლამენტარის პოზა, როგორც „სამართლის მპყრობელისა.“ ნუთუ ამდენი უბედურების შემდეგ საქართველოში კიდევ აქვს ვინმეს „მართალი კაცის“ ილუზია ან პრეტენზია? ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს ვესროლეთ. ფილარმონიაში ჩატარებული შეკრება სწორედ „სიმართლის მპყრობელობის“ სინდრომია, რომელიც საქართველოს ისევ ჰყოფს „გმირებად“ და „ლაჩრებად“, „ერისკაცებად“ და „მოღალატეებად“. დავფიქრდეთ ცოტა. ვის არ უნდა რუსეთის მოშორება, ვის არ უნდა თავისუფლება, მაგრამ როგორ? შენ გზა მითხარი, გზა, რომელიც საქართველოს გაუმართლებელი გვამებით არ მოჰფენს, თორემ ლოზუნგებს ისეთს ვჭკივლებ, წინაპრები საფლავში გადაბრუნდებიან. მოვეშვათ „გმირობანას“ თამაშს. ამ თამაშმა უკვე ხომ ერთხელ კაი მაგრად მოგვატეხინა კისერი. სამწუხაროდ ცუდად გავაანალიზეთ ცხრა აპრილი. თავისუფლებისაკენ სწრაფვა ფეიერვერკი არ არის, რომ იფეთქოს და ჩაქრეს, თავისუფლებისაკენ სწრაფვა მუდმივი ძიებაა თავისუფალი ადამიანისა საკუთარ თავში. ღმერთი ხომ გვხედავს, თორემ ამ წერილის ავტორი ნაკლებად კი არ არის საქართველოზე შეყვარებული, ვიდრე ირაკლი წერეთელი, ან აკაკი ასათიანი თუნდაც.

კიდევ ერთ ფსიქოლოგიურ ნიუანსზე მინდა გავამახვილო ყურადღება: „მასის ფსიქოლოგიაზე“ აქცენტის გაკეთება საკუთარ თავში „რევოლუციური სინდრომის“ მატარებელია, რევოლუციებით კი ქვეყანა არ აშენებულა და არ აშენდება. ადვილია დღეს რევოლუცია საქართველოში, ადამიანებს უჭირთ, საშინლად უჭირთ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმას, რომ წარმავალია და ცვალებადი მასის განწყობა. არ შეიძლება ყველას სახელმწიფო ფიქრი მოსთხოვო. ბოლოს და ბოლოს ის მაინც გავიხსენოთ, რომ ერმა, რომლის ოთხმოცდაშვიდმა პროცენტმა ხმა მისცა პრეზიდენტ-ყოფილს, როგორ დიამეტრულად შემოაბრუნა მზერა და როგორ კიდევ უფრო დიდი პროცენტით მხარი დაუჭირა ედუარდ შევარდნაძეს. და ეს მოხდა სულ რაღაც ერთ წელიწადში. არცაა გასაკვირი, ჩვენ მონობაში დაბადებული და გაზრდილი ხალხი ვართ, მონა კი არასოდეს არ ეძებს ხსნას საკუთარ თავში, მონას პატრონის იმედი აქვს. და კიდევ ერთი: მონას ან სიყვარული შეუძლია, მონური სიყვარული, ან სიძულვილი, ისიც მონური: მონას არ შეუძლია ძმობა. ეროვნული მოძრაობის იმ ფრთამ, რომელიც აქცენტს მასის ფსიქოლოგიაზე აკეთებს, კარგად უნდა გააცნობიეროს: დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი ხვალინდელი ხელისუფლებით კიდევ უფრო უკმაყოფილო იქნება, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი ოპოზიცია „რადიკალური პოლიტიკის“ მომხრეა, რომელიც უზარმაზარ ტრაგედიას ჰპირდება საქართველოს. თუმც ესეცაა: ტრაგედია და განსაცდელი შეკუმშულ დროში ახდენს ერის ცნობიერების განწმენდასა და ამაღლებას. ნუთუ მაინცა და მაინც ტრაგედიების გზა უნდა ავირჩიოთ, ნუთუ მაინცა და მაინც ჩვენ უნდა დაგვემართოს ყველაზე დიდი უბედურება? ერის დაავადებული ცნობიერება ახალქართულ პარლამენტშიც ილანდება, რამეთუ რა არის პარლამენტი, თუ არა რჩეული ხალხის? სამწუხაროდ, ჩვენ არ გვიყვარს დანაშაულის საკუთარ თავში ძიება, ამიტომაც იმის მაგივრად რომ ახალქართულ პარლამენტში საკუთარი სარკე დავინახოთ, საკუთარი ანარეკლი, მასში სამიზნეს ვხედავთ, „ბრალდებულს“, ისევე როგორც, პარლამენტართა ერთმა ნაწილმა, დაინახა კომუნიკეზე ხელისმომწერებში „ბრალდებულები“, როდემდე ვადანაშაულოთ ერთმანეთი? როდემდე ვსვაროთ ერთმანეთი ლაფსა და ტალახში...

ნუთუ მაინც და მაინც ცხრა აპრილი უნდა მოხდეს, რომ ვიმღეროთ: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები...“

დემურ დვალიშვილი:

ბანკი ყელში კი არ უნდა უჭერდეს, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს ჩვენს დასნეულებულ ეკონომიკას გამოსაცოცხლებლად

(დასასრული)

ტარული რეჟიმის პერიოდში საქართველოს ბანკი ფაქტობრივად იყო საბჭოთა კავშირის ბანკის ფილიალი, რომელიც დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო, საემისიო და სავალუტო პოლიტიკას ვერ ახორციელებდა. იგი უბრალოდ იყო მოსკოვში შემუშავებული პოლიტიკისა და ინსტრუქციების ჩვენთან გამტარებელი. ეს იყო და ეს.

დღეს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მოქმედებაში მთლიანად თავისუფალია და ფულად-საკრედიტო და ეკონომიკურ საკითხებში რესპუბლიკის პარლამენტის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას ახორციელებს. ჩვენ უარვყავით ეკონომიკის გეგმიანი განვითარების პრინციპები, რომელსაც საფუძვლად უდევს მმართველობის ადმინისტრაციული მეთოდები და დავადექით თავისუფალი ეკონომიკის, ანუ საბაზრო ურთიერთობების შენების გზას. ამ გზაზე შემდგარი ქვეყნის კარდინალური რეფორმების გატარებაში კი ეროვნული ბანკის როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

— ახლა დიდმნიშვნელოვანია საბანკო სისტემის რეფორმა, რომლის წარმატებით განხორციელებას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია რესპუბლიკის მეურნეობის, მთელი ჩვენი ეკონომიკისთვის, რომელიც ახლა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ბატონო დემურ, რეფორმას ხომ არ ვაგვიანებთ?

— ჩვენ ზოგჯერ გვაკრიტიკებენ, რომ ვაგვიანებთ საბანკო რეფორმას და სწორიც არიან. მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სირთულეებს, რომელიც ამას თან ახლავს, საქმე არც თუ ურიგოდ გამოიყურება. მომზადებულია და ახლო მომავალში პარლამენტს განსახილველად წარვუდგენთ კანონპროექტებს საბანკო საქმიანობის შესახებ, შემუშავებულია დებულებების, ინსტრუქციების მთელი პაკეტიც. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპები მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული ეკონომიკური რეფორმის სულისკვეთებას.

ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, ცდილობს გაატაროს ისეთი ფულად-საკრედიტო, საემისიო და სავალუტო პოლიტიკა, რომელიც შეაჩერებს ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებას. პროგრამა შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლის ექსპერტებმა შეისწავლეს ჩვენი სნეული ეკონომიკა, დასვეს დიაგნოზი და ცდილობენ დაგვეხმარონ სტაგნაციის დაძლევაში.

დღესდღეობით საქართველოში მოქმედი კერძო კომერციული ბანკები პრაქტიკულად არსებით გავლენას ვერ ახდენენ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაზე. ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს საბანკო სტრუქტურის კარდინალურ რეორგანიზაციას. ჩვენ შევიმუშავეთ მსხვილი სახელმწიფო ბანკების აქციონირების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს მათს უნივერსალურ საბანკო ინსტიტუტებად გადაქცევას. იქმნება სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებანი, საინვესტიციო ბანკი მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად, აგრეთვე ექსპორტის განვითარების ბანკი. ფორმირების პროცესშია ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზარი.

— როგორ ფიქრობთ, უცხოეთის ბანკები ჩაებმებიან თუ არა ჩვენთან პარტნიორულ საქმიანობაში?

— ამის სურვილი არის. ჩვენ მივიღეთ უამრავი წინადადება ევროპისა და აზიის ქვეყნების ბანკებიდან. ისინი მზად არიან ითანამშრომლონ ჩვენთან, გახსნან თავიანთი ბანკებისა და წარმომადგენლობების ფილიალები. ჩვენ მზად ვართ შევქმნათ მათთვის შეღავათიანი რეჟიმი, მოვახდინოთ უცხოეთის ბანკების ფილიალებისა და ერთობლივი საბანკო ინსტიტუტების რეგისტრაციის წესების ლიბერალიზაცია. მათ შეეძლებათ შეიძინონ რესპუბლიკაში არსებული კომერციული ბანკები, ამასთან უცხოეთის ბანკების ფილიალებს გარკვეული ვადით გადასახადისაგან ვათავისუფლებთ.

— ბატონო დემურ, როგორც ვიცი, ამას წინათ თქვენ მონაწილეობდით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სხდომის მუშაობაში, რომელიც საქართველოს მიმართ თავისი სტრატეგიის საკითხს განიხილავდა.

— დიახ, იქ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოხსენება მოისმინეს. სხდომის მონაწილენი ფართოდ შეეხნენ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, შეიმუშავეს სტრატეგია, რომელიც გამოიხატა საქართველოსადმი კეთილმყოფელ დამოკიდებულებაში, მიღებულია გადაწყვეტილება ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ჩვენს ქვეყანას, გახსნან კრედიტები, შეადგინონ კადრების გადამზადების პროგრამა. უკვე მივიღეთ შეტყობინება, რომ ევრობანკი წლეულს ექვსთვიან სტაჟირებაზე მიიღებს ჩვენი ეროვნული ბანკის ორ მუშაკს.

— სასიამოვნოა, როცა ისმენ, როგორ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნისათვის საზღვარგარეთ, მაგრამ აქვე მებადება კითხვა: რას ვაკეთებთ ჩვენ თვითონ მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების გაჭირვების შესამსუბუქებლად?

— მინდა გითხრათ, რომ ასეთი ფენების დასახმარებლად ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა. ბავშვები, პენსიონერები, ინვალიდები, ლტოლვილები მიიღებენ მიზანმიმართულ დახმარებას, აფხაზეთში მებრძოლებისთვის კი იქმნება სარეაბილიტაციო ცენტრი. ბანკი სპეციალურ თანხას გამოყოფს იმ ქვრივებისა და მოხუცებისთვის, რომელთაც დაკარგეს მარჩენალი.

— ეს რაც შეეხება ადამიანებს, მაგრამ არანაკლებ დაუცველნი არიან ჩვენი საწარმოები, თავისუფალი მეწარმენი, რომელთაც აღებულ კრედიტებში ბანკი ხშირად ისეთ მაღალ პროცენტს ახდევინებს, რომ წელში ვეღარ სწორდებიან.

— მართალი ბრძანდებით, იმის მაგივრად, რომ ბანკი მოეხმაროს გაჭირვებულ მეწარმეებს, ხშირად მათ კაბალურ მდგომარეობაში აყენებენ. მე პირადად ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მომხრე ვარ, რასაც პრაქტიკულად ვაკეთებ კიდეც. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკისათვის ზოგიერთები მაკრიტიკებენ და საკმაოდ მწვავედაც. ისინი მომიწოდებენ გავატარო მკაცრი პოლიტიკა, მკვეთრად შევზღუდო საკრედიტო რესურსები, გავზარდო საპროცენტო განაკვეთი. ეს არასწორად მიმაჩნია, ვცდილობ, ყველა პირობა შევუქმნა მეწარმეებს, რათა განავითარონ წარმოება, შექმნან პროდუქცია, ერთგვარად ამოისუნთქონ. ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია და მისგან გადახვევას არც ვაპირებ. ბანკი ყელში კი არ უნდა უჭერდეს, პირიქით, უნდა ეხმარებოდეს, ხელს უწყობდეს ჩვენი დასნეულებული ეკონომიკის გამოცოცხლებას.

— სხვანაირად ჩვენი ეროვნული ეკონომიკა ვერ განვითარდება, ვერ გამოვა სამანეთო სივრციდან, რაზეც ასე ვოცნებობთ. სხვათა შორის მინდოდა მეკითხა, თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხთან დაკავშირებით?

— თუ პრობლემას ემოციურად მივუდგები, რუსეთთან ურთიერთობაში იმდენი სიმწარე მიგემია, რომ მისი სივრციდან სასწრაფოდ გამოსვლის მომხრე უნდა ვიყო. მაგრამ ასეთი პრობლემის გადაჭრის დროს კაცი ემოციებს კი არა, ცივ გონებრივ განსჯას უნდა დაეყრდნოს. ამდენად, ვიდრე საქართველო რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობით სარგებელს პოულობს, მის სივრცეში უნდა დარჩეს. მიმაჩნია, რომ რუსეთთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან, უნდა ვისწრაფოდეთ კეთილმეზობლური დამოკიდებულების, ფართო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებისათვის. რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობებში ბანკი თავის კეთილმყოფელ როლს უნდა ასრულებდეს.

— და ერთი შეკითხვაც. ალბათ გახსოვთ, ერთ დროს ელცინმა გორბაჩოვს ბრალი დასდო სსრ კავშირიდან 220 ტონა ოქროს გაქრობაში. თუ ეს მართალია (გორბაჩოვს არც კი უცდია ამ ბრალდების უარყოფა), საქართველოს ამ ვეებერთელა განძში წილი არ ეკუთვნის?

— ყოფილი იმპერიიდან არა მარტო 220 ტონა ოქრო, ბევრი სხვა განძეულობაც დაიკარგა, მაგრამ ამისთვის პასუხი დღემდე არავის უგია. განხილვის პროცესშია ვალების საკითხიც. საქართველოს ხელისუფლება ახლო მომავალში, ალბათ, მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა ფორმით აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან ამ საკითხებზე. მხოლოდ ამ მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა, რა თანხებთან გვაქვს საქმე და, რა მოთხოვნებს წაუყენებს საქართველო რუსეთის მხარეს.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი სარეფერენდუმო საკითხი:

1. გამოცხადდეს თუ არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა, რის შედეგადაც მთელი ძალაუფლება გადაეცეს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს;

და საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. გ. ყორღანაშვილი,
2. რ. ოქრუაშვილი,
3. ზ. თოლორაია,
4. გ. ხახიშვილი,
5. ა. ივანიშვილი,
6. ე. ჩიქვაიძე,
7. ი. ტყეშელაშვილი,

საინიციატივო ჯგუფის მისამართია:

ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 87, ტელ.: 98-88-11; 98-78-47; 98-88-12; 98-78-49.

კომისიის თავმჯდომარე
მერაბ ალექსიძე.

დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

საქართველოს საელჩოს პრესცენტრის ცნობა

26 თებერვალს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკასა და მალტას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელს აწერენ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საქმეთა რწმუნებული ვ. ჩხეიძე და მალტის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მორის ლუბრანო.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ, ბატონმა ლუბრანომ განაცხადა, რომ მას ხელთა აქვს ორი სახელმწიფოს მეგობრობისა და ურთიერთგაგების სახლის გასაღები.

მოარული კითხვის პასუხად

რა უნდა მოსკოვში ასლან აბაშიძეს?

გია ჭელიძე

უკანასკნელ ხანს ჩვენს პრესაში, საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ასეთ მოარულ კითხვას — აი, აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე კვლავ მოსკოვშია; რა უნდა, რა მიზნებს ისახავს ეს კაცი?

მართლაც, ბატონი ასლანი დეკემბერ-იანვარში ორჯერ იყო რუსეთში — მოსკოვსა და უდმურტეთში, ახლაც კვლავ მოსკოვშია და აჭარის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად აგრძელებს ადრე დაწყებულ მოლაპარაკებას რუსეთის საქმიან წრეებთან.

ოპოზიციური პრესა ამას აჭარის ხელმძღვანელის პრორუსული ორიენტაციით ხსნის, თავად ბატონი ასლანი კი, რომელსაც გუშინწინ ბათუმში ყოფნის დროს ტელეფონით ვესაუბრე მოსკოვში, ამ ვიზიტის მიზნებს ასე განმარტავს:

— ჩემი ორიენტაცია უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ ყველასთან, მათ შორის რუსეთთან, მსურს ჯანსაღი, გულწრფელი, მეგობრული საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ. რაც შეეხება ეკონომიკური კავშირების დამოუკიდებლად გამონახვას, ეს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. და რაც უფრო ბევრი იქნება ამგვარი ურთიერთხელსაყრელი კავშირები, მით უკეთესი იქნება საქართველოსათვის. თავად განსაჯეთ: თუ რეგიონიდან (ამ შემთხვევაში აჭარიდან) დაწყებულ ასეთ ინიციატივას ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყოველმხრივ არ მოუმართა ხელი და არ წაახალისა იგი, ქვეყანა კიდევ უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება. ჩვენ ისე მჭიდროდ ვართ ეკონომიკურად გადაჯაჭვული რუსეთთან და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, რომ ძველი კონტაქტების უცაბედმა რღვევამ შესაძლოა კატასტროფამდე მიგვიყვანოს. აქედან გამომდინარე, თუ დიდი სურვილი აქვთ, არა მარტო რუსული, არამედ სომხური, უდმურტული, უკრაინული და თურქული ორიენტაციის მქონე პიროვნებადაც შეუძლიათ მომნათლონ. ეს მე არ მაღელვებს. ახლა კი, კონკრეტულად საქმეზე მოგახსენებთ: ჩვენ მოსკოვშიც, უდმურტეთშიც და სხვაგანაც მხოლოდ ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად დავდივართ. ჯერ კიდევ დეკემბერ-იანვარში მოსკოვში და უდმურტეთში ყოფნისას, საქართველოსათვის ბევრი მეტად საჭირო ეკონომიკური კავშირი აღვადგინეთ. მოსკოვში, ორმაგი გადასახადებისაგან თავის დასახსნელად ვიყავი ჩასული. საქმე დაიძრა. აქვე მოველაპარაკე სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იმაზე, რომ ვიდრე საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება გაფორმდებოდეს, აჭარის გავლით მიღებული მათი ტვირთის ნაწილს ისინი საქართველოს დაუტოვებენ. რაც შეეხება უდმურტეთს, მისი მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი ჩვენს სასიკეთოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ.

აი ახლაც, მოსკოვში ვართ და ვაწარმოებთ მოლაპარაკებას რუსეთისა და რუსეთის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების, მათ შორის უდმურტეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. ცხადია, ამ შეხვედრაზე ბევრი რამ არის ჩვენთვის საგულისხმო და სასარგებლო. რაც შეეხება სხვა საკითხებს, უნდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ ადრე დავიწყეთ მუშაობა იმაზე, რომ შეგვექმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი გაერთიანება, რომელიც იმუშავებდა ამ რესპუბლიკებისათვის ხორბლის, ფქვილის, შაქრისა და სხვა აუცილებელი პროდუქტების მოპოვებასა და შემოტანაზე. ამ საქმეში ჩართული არიან მთელი რიგი ფირმები. უკვე გროვდება ხორბლის, ფქვილის, შაქრის მარაგები, რომლებიც უახლოეს ხანში დაიძრება ჩვენი რესპუბლიკისაკენ.

კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა გვაქვს აჭარაში. მთის რაიონები ვერ უყურებენ ტელეგადაცემებს, რადგან იქ არ აღწევს სატელევიზიო სიგნალი. ახლა მე მოლაპარაკებას ვაწარმოებ ერთ-ერთ ფირმასთან, რომელიც ფლობს ხელოვნური თანამგზავრის საკომუნიკაციო ანტენებს, რაც გვინდა გამოვიყენოთ ჩვენს რეგიონში როგორც სატელევიზიო, ისე კავშირგაბმულობის სისტემის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

ამ მოლაპარაკებებში უკვე ჩართულები არიან აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დარგში კანდიდ ნაკაიძე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, კომისიის თავმჯდომარე — ლეონიდე ჟღენტი, ამ დღეებში შემოგვიერთდნენ ჩვენი მრეწველობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი მოლაპარაკება რუსეთის საქმიანი წრეების კონგრესის ხელმძღვანელებთან, ექსპერტებთან, სპეციალისტებთან, საფინანსო და საბანკო სისტემის წარმომადგენლებთან.

ასე რომ, გვითხრა გამოთხოვებისას ბატონმა ასლანმა, როგორც ნახეთ, აქ ჩვენ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ვართ ჩართული, საქმეში, რომლის სასარგებლო შედეგებსაც ალბათ მალე შევიგრძნობთ საქართველოში.

როგორც გვაცნობეს, გუშინ ბატონი ასლან აბაშიძე ბათუმს დაბრუნდა.

„იბერია“ გვაცნობებს

დავარქვათ თავისი სახელი

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ლიბერალურ-დემოკრატიული (ეროვნული) პარტიის თავმჯდომარემ მიხეილ ნანეიშვილმა საინფორმაციო სააგენტო „იბერიას“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ პარლამენტის გარეთ შეხვედრები და კონფერენციები არის თავისებური გამეორება იმ მოვლენისა, რომელიც 1989 წელს მოგვევლინა ე. წ. „ფორუმის“ სახით. იმ „ფორუმმა“ რომ უარყოფითი როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში, ეს ბევრს არა აქვს გაცნობიერებული. რაც შეეხება ი. წერეთელს, მასზე საერთოდ არ მსურს ლაპარაკი, იგი არის ადამიანი, რომელიც ვერ აცნობიერებს საკუთარ საქციელს. მის მოქმედებას ძალიან მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისათვის. მე და ჩვენი პარტია, რასაკვირველია, მის მოძრაობაში არავითარ მონაწილეობას არ მივიღებთ.

საერთოდ, იმან, რასაც ეს ადამიანები იძახიან „ეროვნულ მოძრაობას“, მოუმზადა ნიადაგი „ზვიადიზმისა“ და სხვადასხვა „ანტიზვიადიზმების“ განვითარებას. ის, რომ წერეთელი ერთი პერიოდი დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას, არაფერს ნიშნავს, თავისი მენტალიტეტით და ფსიქიკური წყობით ეს ორი პიროვნება ერთმანეთს ჰგავს. ხშირად ყოფილა, წიაღიდან გამოსულს შემდეგ ამ წიაღისთვის წიხლი ჩაურტყამს. მაგრამ გენეტიკური მიზიდულობა ყოველთვის არსებობს. „ზვიადიზმი“ არასოდეს ყოფილა იდეოლოგია, ეს იყო ობსკურანტიზმი, რომლის ფრაზებით გაფორმება ყოველთვის შეიძლება. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ აზრის თავისუფლებას, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, — განაცხადა მიხეილ ნანეიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრის გულისტკივილი

მართლაც, „ვინც რა ყოფილა-გამოჩნდა!.."

მუხრან მაჭავარიანის ბოლოდროინდელი ლექსების გამო

გიორგი პაპუაშვილი

რაკიღა უკანასკნელი წლების რთულ ისტორიულ ვითარებაში პოეზიაც და პროზაც პუბლიცისტიკად გადაიქცა, ძნელია დიდ ლიტერატურაზე ლაპარაკი, მაგრამ სახელოვანი პოეტების გამოჩენას პრესის ფურცლებზე მაინც მოუთმენლად მოველით. გვაინტერესებს, რა გზებს დაგვისახავენ, რას იტყვიან თავიანთ ერს ახალს, ილიას თქმით, ქვეყანას რომ „გულისტკივილი მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოხწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს". სწორედ ასეთი გრძნობით შევხვდი, როცა მითხრეს, მუხრან მაჭავარიანის ახალი ლექსები გამოქვეყნდაო, მით უფრო მაინტერესებდა, რომ მე, როგორც მისმა ერთგულმა მეგობარმა, შარშან „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებიდან დავგმე მისი დუმილი და ერის სასარგებლოდ სიტყვის თქმა ვუქადე.

მოველოდი, რომ, როგორც პოეტი, მწერალთა კავშირის ორგანოში — „ლიტერატურულ საქართველოში", „მნათობში" ან „ცისკარში" გამოაქვეყნებდა თავის ახალ ლექსებს, ეგებ „საქართველოს რესპუბლიკაშიც", როგორც ყველაზე სოლიდურ და დიდტირაჟიან გაზეთში, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ისეთი გაზეთი დამისახელეს, რომელიც დიდი ხნის ისტორიულ კუთვნილებად მიმაჩნდა და რომლის დღეს აღორძინება ერისათვის საეჭვო და სახიფათო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. „საქართველოს სამრეკლო!" დიდება შენდა, ღმერთო! ამასაც მოვესწარით?! მაინც დავეძებნე ამ ახალი გაზეთის ნომრები და სულმოუთქმელად წავიკითხე ჩემი საყვარელი პოეტის ლექსები. ორი ნომერი ჩავიგდე ხელთ, რომელთაგან თითოში თითო პატარა ლექსი იყო დაბეჭდილი, მაგრამ, როგორც მუხრანს სჩვევია, ტევადი და მრავლის მთქმელი. ერთის სახელწოდებაა „აწინდელი საქართველო". რომელშიც ვკითხულობთ:

„აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, — არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
გელათისა!
ბაგრატისა!
ჯვარისა!
აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, — არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
შოთაისა!
საბაისა
და სხვაისა!
აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, — არ ვიცი)!
არის ღირსი
(შეძახილით აკაკისით)
ფურ-
თხი-
სა!"

სჯობს მეორე ლექსიც ახლავე გავიცნოთ და მერე ერთობლივად ვიმსჯელოთ მათ ღირსებებზე.

„მე საქართველო არ მსურს
ამგვარი
ზიზღის ანთია ჭიაკოკონა!
გამჭვარტლულია მისგან
ცარგვალი...
საქართველოა ახლა როგორიც!
გადაპოხილა ტვინით ქოჩორი!
ცაში ავარდა ნაღმით
ჭარგვალი...
საქართველოა ახლა როგორიც!
მე საქართველო არ მსურს
ამგვარი!"

რას ვერჩით პოეტს? ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა. ახლა რომ ჩვენი კლასიკოსები წამოვაყენოთ — გურამიშვილი თუ ბარათაშვილი, გრიგოლი თუ ილია, აკაკი თუ ვაჟა, გალაკტიონი თუ გოგლა, ამასვე იტყოდნენ. კლასიკოსი კი არა, დღევანდელ საქართველოს რომ ნორმალური პოეტი ვერ შეაქებს, ცხადზე ცხადია. ან როგორ უნდა შეაქოს, როცა ქვეყანა ორად არის გახლეჩილი და ძმა ძმას ეომება? შვილი მამას და მამა შვილსა ჰკლავს.

ასეთი საქართველო მხოლოდ მტერს ახარებს და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ნორმალურად მოაზროვნე ქართველს კაცს, არათუ პოეტს, ბოლმით არ სძინავს, ასეთ საქართველოს რომ ხედავს, მაგრამ ვინ არის დამნაშავე, საქართველო რომ ასეთი გახდა? რატომ ცალყბივ მაინც არ მიანიშნებს პოეტი? ვინ დაუდო სათავე საქართველოში ძმათა ომებს და სისხლისღვრას? რკინიგზების გადაკეტვას და საკუთარი ერის მოწყვეტას გარესამყაროდან? „ზიზღის ჭიაკოკონის დანთებას" და „ტვინით ქოჩრის გადაპოხვას?" სიცრუესა და ფლიდობას, რამაც ასე მოიცვა საქართველო? გამთიშველობას და ადამიანთა სულებზე გაბატონებას? ქართველი კაცისთვის და მით უფრო ერის რჩეული პოეტისთვის მთავარი საზრუნავი ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვა უნდა იყოს და არა რომელიმე პიროვნებისთვის გულს მოფონება და მაამებლობა, კერპის წინაში ქედის მოხრა და გაფეტიშება. ეს რომ ასე არ იყოს, სტუდენტურ გაზეთში ბატონი მუხრანი ვერ დაწერდა, ბედნიერი ვიყავი, როცა თავისუფალ საქართველოში ცოტა ხანს მაინც ვიცხოვრეო. როდის იცხოვრა თავისუფალ საქართველოში? ნუთუ დავით აღმაშენებლის საქართველო ახსოვს? არა, „მეორე დავით აღმაშენებელზე" ამბობს, ცხრა აპრილს რომ „დიდგორის ომი" მოიგო. ვაი ჩვენს დავითს და ჩვენს საცოდავ დიდგორს, თუ მართლა ასე ფიქრობს ვინმე და თვალსა და ხელ შუა არ სურს ჩვენი გაცურება! გაუნათლებელ კაცს კიდეც რომ აუხვიო თვალები, რას იტყვი ცივილიზებულ შთამომავლობას? ერთი წუთით წარმოვიდგინოთ დავით აღმაშენებელი, რომელიც დივერსიულ ჯგუფებს ჩამოაყალიბებდა, რათა საკუთარი ერისთვის სასიცოცხლო გზები მოესპო, დავითი, რომელიც საკუთარ ხალხს გაძარცვავდა და ღამით გარეთ გამოსვლის საშუალებას წაართმევდა.

ბაგრატისა და გელათის ღირსი არ არისო დღევანდელი საქართველო. საქართველო კი არა, ერის ის ნაწილი არ არის ღირსი, ვინც ქვეყანას ანადგურებს და აჩანაგებს. ასეთი ხალხი საქართველოს ყველა ეპოქაში ჰყავდა და იგი არასოდეს არ იყო თავისი ქვეყნის ღირსი. ახლაც დასაგმობია ასეთი ხალხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ერის იმ ნაწილს კი არ მიმართავს პოეტი, არამედ მთელ საქართველოს და განსაკუთრებით იმათ, ვინც დღის საქართველოს ნამდვილი თავისუფლებისათვის იბრძვიან. ეს რომ ასე არ იყოს, იქვე არ დაიბეჭდებოდა „ღვთითგანბრძნობილ" „პრეზიდენტზე", რომელიც შორიდან უყურებს ჩვენს უბედურებას, ჩვენს ურთიერთხოცვა-ჟლეტას და, როცა აღარ ვიქნებით, თან წაყვანილი „ერითა განწირულთა" კვლავ გამარჯვების ყიჟინას დააქეხებს". იმ განწირულთა რიცხვში კი, რა თქმა უნდა, მუხრანიც არის ნაგულისხმევი. ალბათ იმიტომ გადადიან მოღალატე ქართველები მტერთა ბანაკში, რათა დროულად შემოუტიონ საქართველოს, გაანადგურონ, რომ შემდეგ მათმა ბელადმა „ერითა განწირულითა" უფრო გულსრულად გააგრძელოს მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ ემსახურება მისი ყოველი ქმედება საქართველოს განადგურებას და ამ საქმის გუნდრუკის მკმევლად მუხრან მაჭავარიანი სურს გამოიყენოს. ზოგიერთისთვის ეს შეიძლება სასარგებლოც იყო, მაგრამ მუხრანისთვის დამღუპველია. ნამდვილ პოეტს პირველ რიგში ერი სჭირდება. ეს ჩემზე კარგად იცის მუხრანმა, მაგრამ რაკი ერთხელ შეცდომა დაუშვა, ბოდიშისა ერცხვინება და უკან აღარ იხევს. ამაზე იტყვიან „პატარძალი ტყუოდა, ისევ თვითონ ბუოდაო". მისი მოწოდების შედეგად ერმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, ქვეყანა უფსკრულის პირამდე მივიდა და უკან მაინც არ იხევს. თუ დღევანდელ საქართველოს მხარში არ ამოუდგება, გაჩუმდეს მაინც და სხვებს დაუთმოს ასპარეზი, ვისაც ქვეყნისთვის გული შესტკივა. შოთას, საბას და „სხვაისის" ღირსი არ არისო აწინდელი საქართველო? გჯერათ, რომ საბას და შოთას ოდესმე ერზე მაღლა დაეყენებინოთ საკუთარი პიროვნება? ერთიც და მეორეც სხვის მიწაში განისვენებს და ეს ფაქტი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლით იყო განპირობებული. ვახტანგ მეფეს რომ დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა, საბა სხვის მიწაზე რად წავიდოდა და იქ რად დაანთხევდა სულს? განთავისუფლებული ქვეყნის მესაჭის მხარში ამოუდგებოდა და ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვას შეალევდა თავის სიცოცხლეს.

მუხრანს რომ ეს ლექსები ჯანსაღად მოაზროვნე გაზეთების ფურცლებზე გამოექვეყნებინა; მივიჩნევდი, რომ ერის უბედურებამ ათქმევინა-მეთქი ყოველივე, მაგრამ ეს რომ ძველი ხელისუფლების მხარდამჭერი ბრმა მოწოდებაა, ამან ამაღებინა კალამი ხელში. ისტორიის ჩარხი უკუღმა არ ბრუნდება, ვერც მუხრანი შეაბრუნებს თავისი დიდი ავტორიტეტის მეოხებით და ამით მხოლოდ საკუთარ პიროვნებას შეურაცხყოფს, რაც ძალიან არასასიამოვნოა ჩვენი ერის ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებისთვის და მით უფრო მისი პოეზიის თაყვანისმცემლებისა და პირადად მისი ერთგული მეგობრებისთვის.

ამ წერილმა შეიძლება, ვერავითარი დადებითი გავლენა ვერ მოახდინოს ბატონ მუხრანზე, მაგრამ ვალდებული ვარ, ყველაზე ძვირფას მეგობარს ის ვურჩიო, რაც ჩემი აზრით, მისთვისაც და ჩემი ერისთვისაც სასარგებლოდ მიმაჩნია. როცა კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასვლაზე განცხადება დავწერე და ეს ამბავი შეიტყო, გაუკვირდა და თავის კაბინეტში დიდხანს მიყურა დაკვირვებით. რატომ გაგიკვირდა-მეთქი? მეგონა, უჩემოდ ნაბიჯს არ გადადგამდიო. ჩემი განცხადება რომ წაიკითხო, შენც დაწერ-მეთქი. ქალბატონ ნანა კანდელაკს ჩემი განცხადება მოატანინა და წაიკითხა: „რადგანაც დავრწმუნდი, რომ მწერალი პირველ რიგში თავის ერს უნდა ეკუთვნოდეს და შემდეგ საზოგადოებას, ამდენად მისთვის ზედმეტად მიმაჩნია პარტიის წევრობა, პარტია ვიწრო ცნებაა და რომელიმე ჯგუფის ინტერესს გამოხატავს. როგორც ვხედავთ, იგი იფარგლება მარტოდენ ხელისუფლების დაუფლებით, რისთვისაც ბრძოლისა და ძალადობის გზასაც არ ერიდება. მბრძანებელი და მოძალადე კი თავისუფალ ადამიანს, და მით უფრო მწერალს, არ ესაჭიროება. ამიტომ წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი პარტიისა და პარტიულობისა. რაც შეეხება ქვეყნის მართვას, მმართველ ორგანოდ პარლამენტი მიმაჩნია, რომელსაც ხალხი თვითონ აირჩევს ყოველგვარი პარტიულობის გარეშე. ყოველივე ამის შემდეგ, გთხოვთ, ჩამთვალოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასულად და ჩაიბაროთ ჩემი პარტიული ბილეთი № 12539079".

წაკითხვის შემდეგ ხმა არ ამოუღია. კარგა ხანს იჯდა გაჩუმებული და მერე თანხმობით შემომხედა. ორიოდე დღის შემდეგ განცხადება დაწერა. იმის თქმას არ ვაპირებ, თითქოს ჩემი განცხადება რომ არ წაეკითხა, არ დაწერდა-მეთქი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ურთიერთნდობა გვქონდა და ხშირად კარგი როლიც უთამაშია ასეთ გაგებას. მუხრანისგან ბევრი რამ მისწავლია და მასაც ცოტა რამ უსწავლია ჩემგან. დღეს კი ვერა და ვერ გავუგეთ ერთმანეთს. რაც მას სწორ გზად მიაჩნია, უაღრეს შეცდომად ვუთვლი და რა გზასაც მე ვადგავარ, შეცდომა ჰგონია. თუმცა ყოველივე ასე არ უნდა იყოს; მან ძალიან კარგად იცის, მცდარ გზაზე რომ დგას, მაგრამ შეცდომის აღიარება და ვინმესთან მიცემული სიტყვის გატეხა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია. სინამდვილეში კი შეცდომის აღიარება იგივე აღსარებაა ერისა და ღმერთის წინაშე და ვინმესთან მიცემული ფიცის სიტყვა კი, თუ შენი ერისთვის დამღუპველია, უნდა გატეხო, თუ ნამდვილი მამულიშვილი ხარ. მუხრანმა ამ ლექსებით კიდევ ერთხელ ატკინა გული შეგნებულ ქართველ საზოგადოებას და ჭეშმარიტ მშრომელ ადამიანებს, რომელთაც გულწრფელად ემაყებათ თავიანთი წარსული და იციან, რომ კარგი და ბოროტი, გმირი და მეღორეც, მტერი და მოყვარე ყოველთვის ჰყოლია ქართველ ერს და კვლავაც ეყოლება. ამის გამო ის უღირსი არასოდეს არ გახდება. შოთას და საბას ღირსი პირველ რიგში თვითონ მუხრანი უნდა იყოს და მათ ადგილს იკავებდეს ერის ცხოვრებაში და არა შორიდან უყურებდეს შინაომის სეირს და თავის თავს გვაყვედრიდეს.

ერს თუ აღორძინების საქმეში არ დაეხმარება, ხელი მაინც არ უნდა შეუშალოს სწორი გზის ძებნაში და საზოგადოებას გზა არ აუბნიოს ახალი ლექსებით. არადა, თავისი ავტორიტეტით ვაჭრობას დასწამებენ მისი მტრები. სხვათა შორის, როცა გასულ წელს მუხრანზე წერილი გამოვაქვეყნე, სადაც პირველად დავგმე მისი პოზიცია, ჩვენმა საერთო მეგობრებმა, ვისაც მუხრანი ძალიან უყვარდა, ყველამ შემაქო და ალალგულობა მომიწონა და მათ კი, ვისაც მუხრანის სახელის გაგონებაც კი არ სურდათ თავის დროზე, ყველამ მისაყვედურა: მუხრანს რად აწყენინეო. სინამდვილეში კი შეეშინდათ, მუხრანი თავის თავს არ დაუბრუნდეს და კვლავ არ გამოჩნდესო დიდი პოეზიის სარბიელზე. რამდენადაც ვიცი, შინაც ურეკავდნენ მისი ასეთი „კეთილმსურველნი" და ჩემს წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. იცოდნენ, მისი ერთგული ვიყავი და ჩამოშორება აინტერესებდათ. ადამიანი რაც უფრო განაპირდება ერთგული ადამიანებისგან, მით უფრო ობლად იგრძნობს თავს და ეს აინტერესებდათ. მის გარშემო ახლა მხოლოდ ყალბი მეხოტბენი და თაყვანისმცემელნი არიან, რომელთაც მისი სახელის შებღალვა არაფრად უღირდათ, და ამიტომ მეშინია, არ დაღუპონ-მეთქი. ამას თუ ვერ გრძნობს, ვერაფერს ვუშველი. დაე, განაგრძოს ამგვარი ანგარიშგამსწორებელი ლექსების წერა და მისი სახელი როგორ შევა ისტორიაში, გამოჩნდება.

სანამ ეს წერილი აიწყობოდა, ბედნიერება მხვდა წილად მუხრანის კიდევ ერთ ლექსს გავცნობოდი, ამჯერად „იბერია-სპექტრში", სადაც ჩვეული გულწრფელობით ახასიათებს, როგორც საკუთარ პიროვნებას, ისე თავის მეგობრებს:

„ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
უწია მრავალთ ცოდვამ!
ვინც რა ყოფილა, — გამოჩნდა! —
კაცი აღმოჩნდა ცოტა!"

სრული ჭეშმარიტებაა, ბატონო მუხრან, ვაი, რომ „კაცი აღმოჩნდა ცოტა" და ძალიან ცოტას შესტკივა გული დღევანდელი საქართველოსთვის. თურმე ღრმადღე ლამაზი სიტყვების გამო უწერიათ ლექსები და ძალიან ცოტას ჰქონია ერის სიყვარული ძვალსა და რბილში გამჯდარი. „მართლა ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა" და ვაი, რომ ბევრი ჩაიჭრა ამ გამოცდაში. თურმე, ყველანი თუ არა, უმეტესნი საკუთარი დიდებისა და განდიდებისათვის იბრძვიან და საერო საქმე არად მიაჩნიათ. ეს დიდხანს არ ვიცოდი და ახლა მივხვდი.

„ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! —
მივხვდით: ბრძანდება ვინ ვინ —
ღმერთი, თვით ღმერთი გამოცდა! —
ამდენი დამპლის ხილვით!"

ამას უკვე აღარ მოველოდი, თუ კარვის ქალები ასეთ დიდ გავლენას მოახდენდნენ თქვენს შემოქმედებაზე. სიტყვა „დამპალი" ხომ მათი ლექსიკონიდან არის და ამ სიტყვით ერისთვის თავდადებულ ადამიანებს შეურაცხყოფდნენ. ილიამ ვერ მოახდინა თქვენზე ცხოველი გავლენა, ვაჟამ, აკაკიმ და ისეთი რა ჯადოთილისმა გააჩნდათ ამ ლედიკაციებს, ასეთი ძლიერი ზემოქმედება რომ მოუხდენიათ თქვენს დღევანდელ შემოქმედებაზე. „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!"

მუხრანი რომ ქედუხრელი დაიბადა, ეს ყველასთვის ცნობილი იყო, მაგრამ თუ ასეთი „ბედნიერი" აღმოჩნდებოდა, რომ, სანამ ამ წერილს დავბეჭდავდი, ახალი „შედევრებით" გაამდიდრებდა როგორც თავის პოეზიას, ისე ქართულ კლასიკას, ვერ წარმოვიდგენდი. ასეთი მონდომებით რომ ეწერა საქართველოს სიკეთეზე, როგორც მისი განადგურებისათვის აქტიურობს, ბედნიერი იქნებოდა მისი ერი. ახლა კი.. ღმერთო, შეგვაძლიებინე მისი წაკითხვა. კვლავ „სამრეკლო" და კვლავ ლიტერატურული ცუღლუტობა.

„საქართველოში იმნაირი მოხდა სიგლახე! გავიმარჯვეთ! გაიძახის ახლა ვინც ასე! ღირსი არაა! დადიოდეს ახლა მიწაზე!".

(დასასრული მე-4 გვ.).

პოეზია უპირველეს ყოვლისა

მიხეილ ქვლივიძე

საგარეჯოში

ლელო ტიგინაშვილს

სადღეგრძელო ბევრი ითქვა,
ლექსიც იყო თავის დროზე,
სახლის ჭერიც აიხადა „ურმულით" და
„ოროველით"...
მე კი მახსოვს, რა საამოდ წკრიალებდნენ ალიონზე
ცის გუმბათში ეჟვნებივით დაკიდული
ტოროლები.
ისიც მახსოვს, შუადღისას, როცა ღვინომ
გადაგვრია
და მზის გულზე ჩვენი სუფრა აბრიალდა,
როგორც ჩალა,
ერთ პატარა ჩიტის ჩრდილში (ღმერთმა იცის,
რანაირად)
თვალუწვდენელ ტრიალ ველზე ისევ სუფრა
გაიშალა!
ისევ ითქვა სადღეგრძელო და რიგ-რიგად
დაილოცა
ნაცნობი თუ ნათესავი, იმიერი, ამიერი....
სუფრას ლელო თამადობდა და სულ გაბმით
გაისმოდა:
„მრავალ-მრავალ-მრავალ-მრავალ-მრავალ —
მრავალჟამიერი!"
გაუმარჯოს კახეთს, ძმებო — მუყაითს და
ბარაქიანს,
სულ ეგეთი გულგაშლილი ყოფილიყოს,
როგორც არი.
იგი ჩვენი ბეღელია,
ფარეხია,
მარანია
და ერთიან საქართველოს საიმედო ბალავარი!

შეგონება პირველი

მოდით, აუგად ნუ ვახსენებთ განვლილ
ცხოვრებას
და იმ „ბედნიერ" მომავალზეც სული ნუ
მიგვდის,
სჯობს, ამთავითვე მივეჩვიოთ განმარტოებას
და მოვემზადოთ საუკუნო დიდ სიჩუმისთვის.

შეგონება მეორე

თუმცა ქართველებს დღეს ერთი გვწვავს
ყველას სახმილი
და ერთი გზა გვაქვს გასავლელი, — არ ვართ
ნახირი
და არ გვჭირდება არც მეჯოგე და არც მესსია
და ჩვენ თავს თვითონ ვუპატრონოთ,
უმჯობესია!

ექსკურსია სახლ-მუზეუმში

ეს მაგიდაა პოეტის. ესეც
საწოლი. ეს კი კედლის კარადა
(სადაც პოეტი ზოგიერთ ლექსებს
თავის ეჭვიან ცოლს უმალავდა).
ამ სავარძელში სული დალია.
მთვრალი არ იყო, მაგრამ ძალიან
წუხდა ახალი ლექსების გამო,
რომლის დაბეჭდვას არ დაადგა საშველი. სამოც
წელს იყო უკვე მიტანებული.
ესაა მისი ბოლო კრებული.
ეს გვიანდელი ავტოპორტრეტი,
სადაც პოეტი
წარმოდგენილი არის ცირკის ჯამბაზის სახით,
ნუ გიკვირთ, ამ ხნის
კაცსაც სჩვეოდა უცნაური გამოხდომები
(რაც თავის დროზე აღუნიშნავს პიერ ხომერიკს—
თვითონ მწერალთა კავშირის მდივანს).
აქეთ მობრძანდით, ნუ ეყრდნობით იდაყვით
მინას!
ამ სტენდზე მისი სატრფიალო ბარათებია.
მათი სიმრავლე მოწმობს: მგოსანს არ დაჰკლებია
დაუცხრომელი ინტერესი მშვენიერ სქესის...
ეს ხელნაწერი გახლავთ მისი ცნობილი ლექსის
„მთაწმინდის მთვარე". ეს „იუდას მონოლოგია",
ეს „სალალობო", ეს კი „ისევ გოგია"...
ბიოგრაფიის ამსახველი დოკუმენტები
ამ დარბაზშია თავმოყრილი: ერთი კედელი
დათმობილი აქვს რეპრესიულ წლების მასალას,
ჩვენი პოეტის იმდროინდელ თავგადასავალს.
ეს არის ფოტო ვორკუტიდან ჩამოტანილი.
პატიმრებს შორის — ისიცაა, უკან კი მოჩანს
მავთულხლართები, ბარაკები, ძეგლი სტალინის
და საგუშაგო კოშკის თავზე წითელი დროშა.

აქვეა იმ დღეთა საგაზეთო წერილებია:
„პარტიის მტრები — ხალხის მტრებია!",
„ქართველი ხალხი გმობს ფაშიზმის წყეულ
ჯაშუშებს!",
„გავანადგუროთ გარეწრები!" და ასე შემდეგ...
ამ მოწოდებებს ხელს აწერენ ჩვენი პოეტის
სახელოვანი კოლეგები და მეგობრები.
ამ სურათზე კი იგი უკვე თავის სახლშია!
(ალბათ ვერ იცნობთ, შეცვლილია ისე საშინლად)
მოხუცი ქალი, გვერდით რომ უზის,
მისი მეორე ცოლია, რუსი.
ისიც ყოფილი პატიმარია,
ჰქვია მარია.
აქ კი — კუბოში ასვენია ჩვენი მგოსანი...
ამით ვამთავრებთ მიმოხილვას (უკვე დროც არი,
ახალმოსულნი გარეთ გველიან).
კიბეზე ჩავალთ და ხელმარჯვნივ გასასვლელია.

ეპიტაფია

გული მატაბელს

ამ სულგრძელ კაცს
მამაღმერთმა
სულ მოკლე გზა უწყალობა.
სიყვარულით ავად იყო,
არ ინდომა მკურნალობა.
სხვისი ჭირის მოზიარე,
იმ დადიანს ჰგავდა, ცოტნეს,
და თავისი სატკივარი
არ ახსოვდა არასოდეს!
მოყვრისათვის
უყოყმანოდ
„თავის ჭირსა არ დამრიდად",
გულს მისცემდა გულისათვის
და სიყვარულს —„გზად და ხიდად".
მსმენელიც იყო, მთქმელიც იყო,
ამაყიც და თავმდაბალიც.
საკუთარი რწმენა ჰქონდა,
საკუთარი სამართალი.
ბეწვის ხიდზე დადიოდა
რას ელოდა ან რა რჯიდა?
. . . . . .
ავადმყოფი კაცი იყო —
ყველაფერი კარგი სჭირდა!

ვახტანგ გურგენიძეს

შენ მარტო ახსენე უშბა და უშგული,
„ლილეოს" გუგუნი მომესმა შორიდან
და უცებ მგზავრობის ამიტყდა ხუშტური,
და მთაში, სვანებთან გაქცევა მომინდა,
იქ, სადაც კაცობას ყავლი არ გასვლია
და მთები აწვდილა თეთნულდის ოდენა,
და სადაც სახლი აქვს მესტიელ გასვიანს,
ვინც ყოველ ცისმარე სტუმარს ელოდება!

შენ მარტო ახსენე მუცო და ხახმატი
და ხელად მარშრუტის შეცვლაზე დავთანხმდი,
გამიჩნდა ახალი მტანჯველი წადილი:
ხელახლა მენახა ზღაპრული შატილი,
სადაც მე ოდესღაც ღამე გავათიე
და ისე დავთვერი (ღმერთო, მაპატიე),
ვერ დავემშვიდობე ჩემს კეთილ მეგზურებს
და ვერც რა გავუგე იდუმალ ხევსურეთს!

შენ მარტო ახსენე თმოგვი და ვარძია
და თითქოს თამარის ხმა მესმა მეფური, —
ისევ ხეტიალის ქარმა დამარწია,
მანქანის ძარაში მოკალათებული...
გადიან დღენი და წუთით არ მასვენებს,
ის, რასაც დავარქვი „მგზავრობის ხუშტური".
ახსენე, გეთაყვა, ხშირ-ხშირად ახსენე
ვარძიაც,
ხახმატიც,
უშბაც და უშგულიც!

1992-98 წ.

ზღვის ნაპირზე ქვიშა უნდა დავინახოთ,

ანუ აფხაზეთი საქართველოდ მიაჩნია სპარსელ პოეტს

ანზორ თოთაძე

— დღეს საყოველთაოდ ცნობილია აფხაზი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების ზრახვები: აფხაზეთი ჩამოაშორონ საქართველოს. ამისათვის ისინი არაფერს ერიდებიან და ცდილობენ მეცნიერული სინამდვილეც თავდაყირა დააყენონ. ამ საქმეში მათ თავიანთი გავლენის სფეროში მოაქციეს და მოკავშირედ გაიხადეს აფხაზური პრესა, რომელმაც დიდი ხანია უკვე დაკარგა, ზომიერების გრძნობა და დაიწყო აფხაზური ენის, დამწერლობის, ლიტერატურის, კულტურის გაფეტიშება, ქართველი ხალხის ისტორიის მითვისება.

ისინი ურცხვად აცხადებენ, რომ თითქოს „აფხაზთა სამეფო" წმინდა აფხაზური მოვლენა იყო თავისი ენით, კულტურით, მოსახლეობით. არადა, ამის მსგავსს არაფერს ჰქონია ადგილი ისტორიაში. როგორც პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც განხორციელდა აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანება და შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ცნება „აფხაზეთის" მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის ამიერიდან აღნიშნავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზად წერილობით წყაროებში იწოდებოდა, როგორც საკუთრივ აფხაზი, ისე ყველა დასავლელქართველი.

„აფხაზთა სამეფო" ქართული სახელმწიფო იყო. მისი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ქართები, ეგრები, სვანები, ნაწილს — საკუთრივ აფხაზები. „აფხაზთა სამეფო" ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნებით — ქართველები იყვნენ. მეათე საუკუნიდან კიდევ უფრო ფართოვდება ცნებების „აფხაზის" და „აფხაზეთის" მნიშვნელობა. ამ დროიდან ქართულ წერილობით წყაროებში „აფხაზეთი" და „აფხაზი" ნიშნავს ზოგადად „საქართველოს" და „ქართველს". ასევე ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე „მეფე აფხაზთა" რომ დგას, ამის შედეგად უცხოურ წყაროებშიც „აფხაზი" იხმარება ზოგადად ქართველის და „აფხაზეთი" საქართველოს მნიშვნელობით. მრავალ უცხოურ წყაროში (ბერძნული, არაბული, რუსული) მხოლოდ ამ გაგებით იხმარება აღნიშნული ცნებები.

ასე რომ, „აფხაზთა სამეფო" ქართული სამეფო იყო და აფხაზეთის მეფეები მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების, ქართული ენისა და კულტურის განვითარების, ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისათვის იბრძოდნენ. აქ ცალკე აღებული აფხაზეთი არაფერ შუაშია. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ცნობილი სპარსელი პოეტების შემოქმედებაშიც ყოველივე ასეა დანახული და გაგებული. მაგალითად, სწორედ თანადროულობის აღნიშნული მოვლენებია ასახული გამოჩენილი სპარსელი პოეტის ხაყანის (1121-1199) შემოქმედებაში.

მოუსვენარი სულის პატრონი პოეტი ხაყანი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობდა და მუდმივად ვერსად ჩერდებოდა საცხოვრებლად, ამბობდა, სახენათელი ქართველი ქალის გულისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკიო. მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ნაწყვეტი პოეტ ხაყანის ლექსებიდან, რომელიც ამოღებულია 1980 წელს თბილისში გამოცემული წიგნიდან „სპარსული პოეზიის ნიმუშები".

მუსულმანებო!

„როგორც კი შაჰმა
აფხაზთა* ქვეყნით
შირვანს ინება ჩამობრუნება,
ეკლესიაში წაგვასხა ლოცვად,
შეგვაცვლევინა ზნე და ბუნება..."

და ქართულად ვლაპარაკობ

ტრფობით შენი თეთრი ხელის
და კავების, შენ რომ აჩენს,
აფხაზეთში დავესახლე
და ქართულად ვლაპარაკობ.
იმდენჯერ და ისეთი ხმით
გიხმობ: „მოი, მოი** აქო,
ენა თმისებრ დამიწვრილდა
და თმა ენად მექცა, კარგო.

ციხის მლებია

...ერთ მშვენიერ დღეს ფეხს
დავკრავ და
აფხაზეთს გავალ.
ლიად დამხვდება ქართველების
კარები, მჯერა...
ზონარს შევიბამ, ქრისტიანის
ჯვარს დავკიდებ,
ნაჭარმაგევში და მუხრანში
მინდა გავიდე,
ბაგრატიონთა სასახლეში
ბინას დავიდებ...

ხაყანის ამ მშვენიერ სტრიქონებში ნათლად ჩანს ქართველების ზრუნვა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ისიც, რომ ქართული ენა ამ პერიოდში მთელ საქართველოშია გავრცელებული, ხოლო ეს ქვეყანა — აფხაზეთი იგივე საქართველოა და ქართველებითაა დასახლებული. ისტორიის ამ უშუალო და უტყუარი მოწმის შემდეგ სადაოც არაფერი რჩება, მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, თუ კაცს გულით არ უნდა, ზღვის ნაპირზე ქვიშას ვერ დაინახავს.

---

*იგულისხმება შირვანის შაჰი ახსითან პირველი, დავით აღმაშენებლის შვილიშვილი.

**„მოი, მოი" (მოდი, მოდი) ხაყანის ქართულად უწერია სპარსულ ლექსში.

„თუ ერთად არ ვიქნებით, ლუკმად არ ვეყოფით არავის..."

ანუ ერთხელ კიდევ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ

ამბროსი გრიშიკაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს პარლამენტს, ჩვენი სამშობლოს ამ [illegible] ნაშობ შვილს, უახლოეს მომავალში (დრო გვაჩქარებს) მრავალი ახალი კანონის გამოცემა მოუწევს. მათ შორის ერთ-ერთ მთავარ ადგილს ალბათ დაიკავებს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ამიტომ, ვფიქრობ რა, რომ ისე, როგორც ნებისმიერი სხვა კანონი, აღნიშნული კანონიც საკითხის ყოველმხრივი, სკრუპულოზური შესწავლის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს და მიმაჩნია რა, რომ ასეთ შესწავლას ნამდვილად შეუწყობს ხელს მის გარშემო გამართული ცხოველი სჯა-ბაასი, ვბედავ ჩემი აზრის გამოთქმას.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა (70-მდე რაიონი 5 მილიონიან რესპუბლიკაში) არის უაღრესად გაუმართლებელი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მასშტაბი გაცილებით უფრო ფართო და ოპტიმალური გახდება, და სასურველია თუ ამას საფუძვლად დაედება საქართველოს ისტორიულ-ეთნიკური დაყოფა — ქართლი, კახეთი, იმერეთი და ასე შემდეგ, ისე, როგორც ეს იყო ისტორიულ საქართველოში და როგორც არის ამჟამად საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვაგან.

ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ისინი ძირითადად ორი ასპექტით აკრიტიკებენ საქართველოს მომავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელს. პირველი, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოში ამჟამად ისედაც თვალში საცემ პარტიკულარიზმს. ჯერ ერთი, დღევანდელი საქართველოს ქართველებით დასახლებულ კუთხეებში პირადად მე ნამდვილად ვერ ვხედავ სერიოზული სეპარატიზმის რაიმე გამოვლინებას. ის, რაც დღეს სამეგრელოში ხდება, პოლიტიკური ბრძოლა უფროა, მახინჯ ფორმებში გადაზრდილი, ვიდრე მეგრული სეპარატიზმი (პოლიტიკური ბრძოლის მახინჯი ფორმა ქართველის მიერ ქართველზე იარაღის აღმართვაა). ვფიქრობ, უაზრობაა იმის გაფიქრებაც კი, რომ სამეგრელოს, თუნდაც აჭარის, ძირითადი მოსახლეობა ერთ მშვენიერ დღეს დედასაქართველოს გამოეჯნება და ცალკე სახელმწიფოს ფორმირებას დაიწყებს. ხოლო თუ ეს მავნე აზრი, დავუშვათ და, მართლაც მოუვიდათ, მის რეალიზაციას ახლანდელი — მათი კუთხის ამჟამად არსებული რამდენიმე რაიონად დაყოფის შემთხვევაშიც შეეცდებიან.

აქვე ალბათ აუცილებელია იმის თქმაც, რომ ჩვენ საქართველოს კუთხეების მიხედვით მოწყობა გამართლებულად მიგვაჩნია მხოლოდ და მხოლოდ როგორც მისი ადმინისტრაციული მოწყობა მართვის გაუმჯობესებისა და გაიაფების მიზნით.

საქართველოში მცხოვრებ ყველა კუთხის, ყოველი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ „თუ ერთად არ ვიქნებით, ლუკმად არ ვეყოფით არავის" (ეს სიტყვები წარმოთქვა დღევანდელი საქართველოს უპირველესმა მგალობელმა ზურაბ სოტკილავამ, როდესაც მან მსმენელებით სავსე ოპერის თეატრში ერთ-ერთი მეგრული სიმღერა შეასრულა). ასე რომ, სეპარატიზმის მთავარი წარმომშობი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა არ არის (მიზეზები გაცილებით ღრმაა). მე უფრო პირიქით მგონია:

საზრისი

1. მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები გვექნება — ქართლ-კახეთ-იმერეთ გურია-სამეგრელო და ასე შემდეგ, თანდათან დავიწყებას მიეცემა ამჟამად არსებული ავტონომიების (გარდა აფხაზეთისა) განსაკუთრებული სტატუსი და ყოველი კუთხის შვილნი ერთიანი საქართველოს თანასწორუფლებიან მოქალაქეებად იგრძნობენ თავს. მაშინ აღარც უხეში ქირურგიული ჩარევით დაგვჭირდება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის მსგავსი ერთეულებისათვის განსხვავებული უფლებების შეკვეცა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ავტონომიების გაუქმება.

გარდა ამისა, რეანიმირებული, ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა ახალ სულს ჩაბერავს ამ კუთხის მკვიდრთ და უბიძგებს მათ საქართველოს სხვა კუთხეებთან კეთილშობილური შეჯიბრებისაკენ, რაც საბოლოო ანგარიშით მთელი საქართველოს სასიკეთოდ წარიმართება.

ახლა, რაც შეეხება ოპონენტების იმ არგუმენტებს, თითქოს ამგვარი ტერიტორიული მოწყობა გაზრდის ისედაც უაღრესად გაბერილ ჩვენი მმართველობის ხარჯებს. ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ამ საკითხის ამგვარად დაყენებას მართლაც არ ექნებოდა არავითარი გამართლება. მაგრამ აქაც პირიქით არის საქმე. ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში, როდესაც ქალაქად და სოფლად აღარ იარსებებს საზოგადოებრივი მეურნეობები, რომელთაც გამუდმებული მეურვეობა და კონტროლი სჭირდებათ სახელმწიფო ორგანოების მხრივ, და შესაბამისად შემმოწმებელ-მეთვალყურენიც მრავლად იყვნენ საჭირო, მოიხსნება იმის აუცილებლობა, რომ ყოველ რაიონს თავისი მმართველობის ორგანო ჰყავდეს. ამგვარი ორგანო იქნება მხოლოდ კუთხის, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში და ამდენად მმართველობითი ხარჯებიც აღარ იქნება ძველებურად უაზროდ გაბერილი ადგილებზე, სოფლებსა თუ რაიონულ ცენტრებში. აქ დარჩება მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ძალზე შეზღუდული ფორმით, რათა იქაურ მაცხოვრებელთ უბრალო ცნობისა თუ მარტივად გადასაწყვეტი საქმის გამო კუთხის ცენტრში არ დასჭირდეთ ხშირად სიარული.

მაგალითისათვის სხვათა გამოცდილებას მივმართოთ: იმის დასასაბუთებლად, რომ სახელმწიფოს ასეთი წვრილი ერთეულებად დაყოფა უფრო იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება, გამოდგებოდა როგორც საფრანგეთის, ასევე გერმანიის მაგალითი.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის მიწურულამდე საფრანგეთი ტერიტორიულად მოწყობილი იყო მსხვილი ადმინისტრაციული ისტორიული რეგიონების სახით — შამპანი, ბრეტანი, ნორმანდია და ასე შემდეგ. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ამგვარი დაყოფა გააუქმა და შემოიღო შედარებით მცირემასშტაბიანი რაიონების (98 რაიონი) პრინციპით მართვა-გამგეობა. ამან ვერ გაამართლა და ამჟამად ამ ქვეყანაში 36 დეპარტამენტი განაგებს ქვეყნის მთელს პოლიტიკურ-ეკონომიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებას.

გერმანიაში ჰიტლერის ხელისუფლებამდე მხარეების პრინციპით იყო მოწყობილი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ჰიტლერმა ტერიტორიული მოწყობის ეს ფორმა გააუქმა და რაიონული დაყოფა შემოიღო. ამჟამად, როგორც ცნობილია, გერმანია კვლავ დიდი მხარეების საფუძველზე ხდება ქვეყნის მართვა-გამგეობა.

დასასრულ, გვინდა გამოვთქვათ სურვილი, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის აღნიშნულ პრობლემებზე სათანადო ახსნა-განმარტებისა და გაშუქების შემდეგ მოგვეწყო პლებისციტი, რათა თავად გადავწყვიტოთ, თუ სახელმწიფოებრივი მოწყობის როგორ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას.

მართლაც, „ვინც რა ყოფილა—გამოჩნდა!...“

(დასასრული).

დაუკვირდით როგორ აღელვებულია ის ერთ დროს „ფართო ნაბიჯით“ მავალი დინჯი პოეტი, რომ ისიც აღარ იცის, სად დაუსვას სასვენი ნიშანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის საქართველოს საწინააღმდეგოდ. ვინც დღეს საქართველოს გათიშვისათვის იბრძვის, არც მეტი და არც ნაკლები, ერის მტერია. გამთიშველი ყოველ ეპოქაში რეაქციონერია და არა პროგრესული მოღვაწე. უფლება აღარ გვაქვს გამართლება მოვუძებნოთ.

მეგობრის გულისტკივილი

„მოყვასის სისხლში აქვს მოთხვრილი ვისაც თითები... სარწმუნოების ვისაც სწადდა ამოწვა შანთითო!“ მოდით გავარკვიოთ „მოყვასის სისხლში ვინ მოითხვარა თითები“. ცხრა აპრილის შემდეგ ჯალათივით ვინ ჩხვლეტავს საქართველოს და წვეთწვეთობით ვინ სცლის ქართველ ერს სისხლისაგან. ვისი მომხრენი ებრძვიან საქართველოს აფხაზებთან ერთად? მუხრანმა ჩემზე კარგად იცის და განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს, პიროვნების ერთგულებამ ისე არ უნდა აუბას თვალები, ერი რომ საკლავად გაიმეტოს? რაც შეეხება ქრისტეს სარწმუნოებას, ვისი სტრიქონებია: „რომელი თურქი! რომელი სპარსი! თვით შაჰ აბასსაც თურმე რას ერჩი?! ქრისტემ იმ დღეში ჩააგდო ქართლი, ჯვარცმისას იყო თვითონ რა დღეშიცო!“ მე მგონია ეს თქვენი ლექსია, იმდროინდელი პრეზიდენტის სამებლად რომ დაწერეთ. ახალ „მარგალიტსაც“ დავასახელებ ამის ნიმუშად: „ჯერ კიდევ ზოგი ქართველი დროშია ირაკლისაში, თათარი ლამე ჰგონია! რუსი ჰგონია რიერაჟი!“ ამაზე მეტ მკრეხელობას რომელი ცოდვილი იკისრებდა? აფსუს ირაკლი! ვინ საქართველოს ერის გადარჩენისათვის იბრძოდა, ვინ დაღუპვისთვის მოუწოდებს და თანაც ამუნათებს გენიოს წინაპარს, პოეტს რომ შავი თეთრად მოეჩვენება, მისი საქმე წასულია.

კალამს როცა ვიღებთ და ლექსის დაწერას ვაპირებთ, ყალბი სტრიქონი თუ თავში მოგვივა, ცოტათი მაინც უნდა გავწითლდეთ და დუმილი ვამჯობინოთ. თურმე ახალი ხელისუფლება და სახელდობრ „ბატონი ამხანაგი“ (გუშინ თქვენც „ამხანაგი“ ბრძანდებოდით და „იხოზით“ მიმართავდით დიდსა თუ მცირეს) ხელს აწერს, რომ „არ კლას ქართველმა, მთავარია, არა ქართველი!— თავისიანი, კი, ბატონო! მოდგის და ჟლიტოს!“ როგორ გგონია, თქვენი ნათქვამისა არ იყოს, მართლაცდა „ბნელა“? განა საზოგადოება ვერ ხედავს, ვინ თავისიანს „ჟლიტავს“ და ვინ მომხდურ მტერს? „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“... ასევე თქვენს ფალავანზეა ზედგამოჭრილი თქვენივე სტრიქონები: „ღმერთმა გაგვწირა?! არის ეს ვინა?! ეს ვინ, სატანამ გამოგვიტყვრინა?!“. მართლაცდა რა სატანამ მოგვივლინა ერის შესაჭმელად? რანაირი უძღები შვილი უნდა იყოს, ასე უმადურად რომ უხდის თავის ერს სამაგიეროს? რა დაუშავა საქართველომ ისეთი, ასე რომ გაიმეტა. აუცილებელი იყო მისი პრეზიდენტობა? განა სხვა გზით ვერ იცხოვრებდა? წელიწადნახევრის განმავლობაში ქვეყანამ დაინახა, რომ პრეზიდენტობა და ქვეყნის მართვა მას ისევე შეეძლო, როგორც რომელიმე ქართველ გიმნაზიელს ჩინური იეროგლიფების ამოხსნა. ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ და რატომ შეგყავთ ხალხი შეცდომაში?

ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენე შენივე ნათქვამი: „აურაცხელი სანაგვეზე ჰყრია სინდისი. გადის ცხოვრება კაცის კაცთან სკამზე ჭიდილში“. დიახ, ასეა და გადაეცი იმ თქვენს ფალავანს, რომ შეეშვას სკამისთვის ბრძოლას. რატომ მე არ ვიბრძვი ფიზიკის კათედრის გამგეობისთვის? იმიტომ რომ ფიზიკოსი არა ვარ და ვერ გავუძლევები. მასაც შეაგნებინეთ, რომ ამ საქმეში ხელმოცარულია. დაე, ისევ ლექსები წეროს, თარგმნოს და იკვლიოს. განა ეგ ნაკლებ საპატიო საქმეა?!

საყვედურით ახსენებთ „სერგოს და კობას“. თქვენ ეგ აღარ გეთქმით! „სერგოს და კობას“ დანაშაული ზღვაში წვეთია თქვენს დანაშაულთან. ჩაუფიქრდით და მიხვდებით! თუმცა, ვერა, ვერ მიხვდებით. რაკი ყველაფერი იკისრეთ ერის წინაშე. ისიც კი იკისრეთ, რომ ერთ დროს პირველხარისხოვანმა პოეტმა ჭეშმარიტ ლექსს უღალატეთ და, გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გვირგვინის ცოლი გაუშვი, ხარჭასთან შექმენ რბოლანი“, ოღონდაც ცრუპატრიოტთა გულებს ასიამოვნო, რაკი თათარი და რუსი, ქრისტე და მაჰმადი ერთმანეთისაგან ვეღარ გაგირჩევია, ვეღარც თქვენს მიუტევებელ დანაშაულს მიხვდებით.

რასაც დღეს თქვენი ლექსებით მოუწოდებთ ჩვენს საზოგადოებას, არც ერთი მტერი არ მოუწოდებდა. „პირს მეწუკი მორიდებიაო“. მტერიც კი ვერ გაბედავდა ასე აშკარად სამტრო მოწოდებას. როგორ დავიჯერო, თუ მართლა გყვარებია ოდესმე დავითი თუ თამარი, შოთა თუ ვაჟა, სულხანი თუ ილია. ვერა და ვერ დამაჯერებ. ასე რომ ყოფილიყო, გათიშვისაკენ არ მოუწოდებდი თავისუფლების გზაზე დამდგარ ერს, რომელიც თქვენმა მხატვრულად მდარე და მშიერმა ლექსებმა მართლაც რომ გააბრიყვოს, ფიზიკურ განადგურებას ვერ გადაურჩება. ვიღას რად უნდა მაშინ შოთა და საბა, თქვენი საყვარელი გრიგოლი და ვახტანგი და თუნდაც თქვენი ადრინდელი ლექსები, რომელთაც ასე ვეღოლიავებოდით. თუ სიჯიუტეს არ დაიშლი, გაგვიძეხ მწირლებს, ავიდეთ მთაწმინდაზე, ჩვენს თვალწინ ააფეთქე ილიასა და ვაჟას საფლავები (იკისრებთ კიდეც!) და მერეღა დავღუპოთ ქვეყანა... მაგრამ ვისღა დავუტოვოთ ჩვენი საყვარელი ქართული ენა და ნანინანატრალ ნალოლიავები უბადლო ანბანი, რომლითაც ასე ამაყობდი, როცა მართლა ლექსებს წერდი? ვინღა დაწერს და წაიკითხავს ამ ენაზე? ეგეც არ იყოს, რა გგონია, მიგვიღებენ კი წინაპრები მარადიულ საუფლოში? „კუპრში მოგვილის ჭმუნანი“. ეგებ გროზნოში აპირებთ გადახვეწას და იქაურ აკლდამებში შეფარებას? იქაც მოგძებნიან შენი ვახტანგისა და სულხანის სულები, დავითისა და თამარის აჩრდილები. ფრთხილად, ცოდვის გზით მიდიხარ და არ იყურები, წინ რომ უფსკრულია!

• • •

ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 23 თებერვლის სხდომაზე პარლამენტის წევრებს [illegible] წარედგინათ დადგენილების პროექტი „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის ვიზიტის შედეგების შესახებ მიღებული კომუნიკეს ბათილად ცნობის თაობაზე“.

როგორც ცნობილია, ამ დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა სახელობით და იგი პარლამენტს არ მიუღია. კენჭისყრისას მე ვიყავი კომუნიკეს ბათილად ცნობის მომხრე, მაგრამ ხმის მიცემისას წამიერი დაგვიანების გამო აღმოვჩნდი კომუნიკეს გაუქმების მოწინააღმდეგეთა შორის. ამ ფაქტზე მაშინვე მოვახდინე რეაგირება — მივმართე პარლამენტის სპიკერის მოადგილეს ქ-ნ რუსუდან ბერიძეს, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, და გამოვხატე ჩემი პოზიცია.

ქალბატონმა რუსუდანმა ამის შესახებ მოახსენა პარლამენტის სხდომას.

ვფიქრობდი, რომ ამით ყველაფერი გასწორდა, მაგრამ თქვენი გაზეთის 26 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ კენჭისყრის შედეგების ამსახველ სიაში მაინც კომუნიკეს ბათილად ცნობის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოვჩნდი.

გთხოვთ, მკითხველ საზოგადოებას გააცნოთ ჩემი პოზიცია.

პატივისცემით
საქართველოს პარლამენტის წევრი
ლედი თირქია.

1993 წ. 26 თებერვალი

შემთხვევები



უმსხვერპლოდ დამთავრდა

ხუთშაბათს, 26 თებერვალს, დილის 4 საათსა და 30 წუთზე, სადახლო-აირუმის გადასარბენზე თბილის-ერევნის სამგზავრო მატარებლის გავლის დროს ბოროტგანმზრახველებმა ააფეთქეს დაახლოებით 250 მეტრი რკინიგზის ხიდი.

დივერსიის შედეგად პირველი და მეორე ვაგონები რელსებს ასცდა, მესამე და მეოთხე კი აღმოჩნდნენ დაშორიშორებულ რელსებს შორის ლიანდაგზე.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წვრილი ფული აუცილებლად უნდა მიიღონ!

ხურდა ფული მიმოქცევიდან გამოვიდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ კომერციულ მაღაზიებში წვრილი ქაღალდის ფულის მიღებასაც უარობენ.

— არადა, იყო მთავრობის განკარგულება, რომელიც ვაჭრობის მუშაკსა და სახელმწიფოს სისტემას, კერძო პირებს ავალდებულებს მოქალაქეთაგან მიიღონ სხვადასხვა ღირსების ფული, — თქვა საქართველოს ეროვნული ბანკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ნუგზარ ფიფიამ. — მაგრამ მათ არ სურთ თავი შეიწუხონ წვრილი ფულის დათვლით, თუმცა რესპუბლიკის ნებისმიერი ბანკი მათ მსხვილ კუპიურებში გაუცვლის.

საქართველოში ფულის ნიშნებთან დაკავშირებული ვითარება ძალიან მძიმეა. უკანასკნელად ისინი რუსეთიდან ნოემბერში მივიღეთ. ერთადერთი ტრანსპორტი, რომელსაც ფული ჩამოაქვს, თვითმფრინავია, ამიტომ ბუნებრივია, ვამჯობინებთ მსხვილი ფულის გადაზიდვას, როცა საქმე ეხება მილიარდობით მანეთის მიწოდებას.

ჩვენები

— გვიშველეთ! ჩვენებს ურტყამენ! გვიშველეთ!

— რა გაყვირებს?

— ჩვენებს ურტყამენ, შეხედე!

— ვინ ურტყამს?

— ისინი!

— ისინი ურტყამენ ჩვენებს?

— კი, ნამდვილად.

— პირიქით რომ აღმოჩნდეს?

— პირიქით რანაირად?!

— ჩვენები რომ ურტყამდნენ იმათ, რაღას იტყვი? რომ დამდგარხარ და ყვირიხარ, იქნებ ჩვენებს უშლი ხელს?

— რა ვიცი...

— ეგაა საქმე! ვერასოდეს ვერ მიხვდები, ჩვენი რომელია და იმათი რომელი.

— აბა, რა უნდა ქნა?!

— არაფერი.

— კი, მაგრამ რომ უბათქუნებენ ერთმანეთს?

— ვთქვათ, უბათქუნებენ, მერედა, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ: იქნებ ჩვენები ჩვენები არ არიან და არც ისინი არიან ისინი?

— ასე გგონია?

— მე არაფერი მგონია, მაგრამ სადაც ჩვენები და ისინი არიან, ყოველთვის შეიძლება შეცდე — ჩვენები ისინი აღმოჩნდნენ და ისინი ჩვენები, ამიტომ ენას კბილი უნდა დააჭირო და კილომეტრზე მოუარო!

— ესე იგი, დახოცონ ერთმანეთი?!

— ეგ მე არ მითქვამს. ისე, ერთი [illegible] ვარიანტი არსებობს.

— როგორი?

— როცა ჩვენებს ურტყამენ ჩვენებს.

— მერე? ეგ ჯობია?!

— რა თქმა უნდა: არასოდეს შეგეშლება, ყველა ჩვენიანია, მორჩა და გათავდა! ადგნენ და ურტყან ერთმანეთს, სანამ არ მოსწყინდებათ! ჩვენ დავდგეთ და ხეირს ვუყუროთ!

ჭორ-ამბები

მაგარი მეოჯახე აღმოჩნდა გენო ხვირჭია. მან მტკიცე ოჯახები შექმნა თბილისში, ქუთაისში, აბაშაში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგსა და რიგაში.

ყველასთვის უცნობი აღმოჩნდა კინოფესტივალის „გრან-პრის“ ახალი მფლობელის ვინაობა. იგი მოულოდნელად გადმოძვრა ფანჯრიდან, დაიუფლა „გრან-პრის“ და ასევე მოულოდნელად გაუჩინარდა ფანჯარაში.

დელფინების ცხოვრების უფრო ღრმად შესწავლისა და მათთან დაახლოების მიზნით, ცნობილმა ფიზიოლოგმა ვანო ტარიბაშვილმა სამი წელი გაატარა „უმცროსი ძმების“ ოჯახში. ექსპერიმენტმა თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო“. ამჟამად პროფესორი ტარიბაშვილი შესანიშნავად ცურავს „დელფინის“ სტილით, ადამიანის ხელიდან ღებულობს საკვებს და ალერსიანად ეპყრობა ბავშვებს.

რეზინის ნაკეთობათა ფაბრიკის მიერ გამოშვებული საშლელი მეათეჯერ ხმარების შემდეგაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბავშვთა მეცამეტე საავადმყოფოს სამუდამო სარგებლობაში გადაეცა ხუთი ერთჯერადი შპრიცი.

გაზეთმა გამოაქვეყნა „დაზუსტება“:

წინა ნომერში დაბეჭდილ მასალაში „რეკეტირების ჯგუფის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს: „რევიზორების ჯგუფი“.

შაბათიზმები

- თუკი სხვის ჭკუაზე ცხოვრება გინდა — ცოლი ითხოვე!
- ზოგიერთი მამალი საკუთარ ბულიონშიც ყივის.
- ყველანი სილატაკის ზღვარზე ვართ, ოღონდ სხვადასხვა მხარეს.
- ყოველთვის მჯერა იმ ადამიანის, რომელიც არაფერს არ მპირდება.
- ბრიყვიც შეიძლება მრჩევლად დანიშნოს... მეორე ბრიყვმა.
- ვალს, სამწუხაროდ, გადახდა უნდა.
- კარგ დისერტაციას დაცვა არ სჭირდება.

ჭადრაკის სამყაროში

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეშვიდე, გადადებული პარტია ნანა იოსელიანსა და ჟუჟა პოლგარს შორის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა, რის შემდეგაც, ქართველი დიდოსტატი ფაქტის წინაშე დადგა, მას შეხვედრის გადასარჩენად აუცილებლად უნდა მოეგო ბოლო, მერვე პარტია.

ნანას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ურთულეს ამოცანას და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო...

• • •

ჩინებულად აიღეს სტარტი მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირზე ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა ნინო ხურციძემ და ინგა ხურცილავამ.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მიმდინარე ასპარეზობის 3 ტურის შემდეგ მათ 3-3 ქულა აქვთ. მესამე ტურის პარტიებიდან აღსანიშნავია ხურციძის მიერ მოპოვებული გამარჯვება დიდოსტატ ქეთევან კახიანთან, რომელიც მანამდე უდანაკარგოდ თამაშობდა.

უკან დარჩა 4 წრე

თბილისელმა ჩოგბურთელმა ლელა მესხმა მეოთხე შეხვედრა მოიგო ავსტრიის ქალაქ ლინცში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე.

ამჯერად, მან გათამაშებიდან გამოთიშა ჩეხი პეტრა ლანგროვა — 7:5, 3.6, 7:5.

დილი — შანსი

ადამიანის შინაგან ორგანოთა ტრანსპლანტაციის (გადანერგვის) ცენტრი განიცდის გულის მწვავე უკმარისობას. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ორგულ და ორპირ დონორებზე.

მოქალაქეს, რომელმაც წუხელ მეტრო „რუსთაველის“ ვესტიბიულში მარცხენა ხელთათმანი დაკარგა, შეუძლია მარჯვენა ხელთათმანი მორიგესთან დატოვოს, ვინაიდან მარცხენა მე ვიპოვე.

ვძვრები ნემსის ყუნწში და საკუთარ ტყავში!

ვაფრენ ალალს, ვინაიდან რაც არი არი — არ არი!

-ვიძლევი თავზეით ხტომის გაკვეთილებს.

მიზნობრივი ჰუმანური დახმარების სახით მიღებულია ადამიანური ღირსებისა და იუმორის გრძნობა „საქართველოს სამრეკლოსა“ და „იბერია-სპექტრის“ თანამშრომლებისათვის.

ვაქირავებ გაჭირვების ტალკვესს მცირეხელფასიან მოქალაქეებზე.

დაზუსტება

„შაბათის კლუბის“ წინა (13 თებერვლის) გამოშვებაში დაშვებულია უზუსტობანი: „ჭორტაპში“ „პოლიტპატმირების“ ნაცვლად უნდა იყოს „პოლიტპარტიები“. „ეპიგრამებში“ ბოლოდან მე-12 სტრიქონში ნაცვლად ერთი სიტყვისა — „ფურთხებად“, უნდა იყოს ორი: „ფურ თხებად“.

კლუბის
სპიკერი
ლერი
ჩანჩალაძე.



იარაღის ამოღება გრძელდება

თებერვლის უკანასკნელ დღეებში რეიდების მოწყობისას პოლიციის განყოფილებამ თბილისის მეტროპოლიტენში მგზავრებს ჩამოართვა რამდენიმე ათეული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, რომლებსაც ისინი უკანონოდ ატარებდნენ. იარაღის მფლობელთა უმრავლესობის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც მალე გადასცემენ რაიონულ სასამართლოებს განსახილველად.

რუბრიკას უძღვებიან ზოთა ინწკირველი და მელიტონ კალანდაძე.

ბრწყინავს ვარსკვლავი

პოლგარები ებრაელები არიან. დებში ყველაზე ნიჭიერი, უმცროსი 16 წლის ივდითი, დაიბადა 1976 წლის 23 მკათათვეს. თუნდაც ის რად ღირს, რომ 11 წლის ასაკში მან ხუთჯერ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა ვაჟთა შორის და ეს წოდება გენიალურ რობერტ ფიშერზე ორი წლით ადრე მიიღო. ჰასტინგსის ტრადიციულ საშობაო (1988-89 წწ.) ვაჟთა „ა“ ღია ტურნირში ივდითმა პირველი ადგილი დაიკავა. მოვუსმინოთ ამ ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრების მონაწილე დიდოსტატ ედუარდ გუფელდს: «Убежден, в 12 лет ни один мужской гроссмейстер (Даже самый великий шахматист) не играл столь мощно». (ჟურნალი „64“, 1989 წ. 5).

ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ივდით პოლგარი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია (12 წლისა). სალონიკში XIII ქალთა ოლიმპიადის საუკეთესო პარტიის (ბულგარელ საერთაშორისო ოსტატ ანგელოვასთან) პრიზი — 500 ამერიკული დოლარი დაისაკუთრა. აი, ეს პარტია.

პოლგარი — ანგელოვა. სიცილიური, სალონიკი, 1988 წელი. 1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. 0-0 კg7 5. c3 e5 6. d4 e:d4 7. c:d4 მ:d4?! (7. ... cd) 8. მ:d4 c:d4 9. e5! მe7 10. კg5! 0-0 11. ლ:d4 მc6 12. ლh4 ლb6 13. მc3 კ:e5?! უარეს პოზიციაში ანგელოვა უშვებს სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომას — პაიკს იგებს, მაგრამ იხსნება ხაზი უკეთ მობილიზებული მეტოქისათვის. 14. ეae1!! (მეფეზე იერიშისათვის რეზერვის მოზიდვა დაკავშირებულია ფიგურის შეწირვასთან. გზადაგზა იმუქრება 15. ე:e5!) 14. ... კ:c3? ანგელოვა იგებს ფიგურას, მაგრამ ასუსტებს საკუთარი მეფის პოზიციას (შავი უჯრები). თეთრებს რჩებათ შავუჯროვანი, უკონკურენტო კუ! ეს ზოგადი მოსაზრებაა, ხოლო კონკრეტულად შავებს თითქოს არაფერი ემუქრება, მაგრამ მალე ნათელი გახდება, რომ ანგელოვა ვერ გაერკვა ნორჩი გენიოსის ჩანაფიქრში. 15. b:c3 ლ:b5 16. ლh6!!



ანგელოვა დანებდა.

რადგან ორი მუქარისაგან — 17. კf6 და 17. ლ:f8! — დაცვა მას არ ძალუძს. 17. ლf8! ტაქტიკურ დარტყმაში შეუძლებელია დაცვის მოსპობისა და ჩათრევის იდეა. მან თავდაყირა დააყენა ყველაფერი და იმედი გაუცრუა ანგელოვას. გამოირკვა, რომ კუ არ საჭიროებს f6 უჯრას: 16. ... ლf5 17. ლ:f8! მფ:f8 18. კh6 და 19. ეe8×.

ულტრა-თანამედროვე საჭადრაკო პარტია

პოლგარი-სპასკი. ესპანური. ბუდაპეშტი, 1993 წელი. აქაც, ივდით პოლგარის სტრატეგია გაფილტრულია გათვლებით. ბრძოლის თითქმის ყველა მონაკვეთში იგი სიურპრიზს უმზადებს მეტოქეს, რაც მეტწილად ტაქტიკური (კომბინაციური) შინაარსისაა. სწორედ გათვლები და ტაქტიკური შტრიხები წარმოაჩენენ მეტევის დინამიკურ ხასიათს. ყოველივე ეს სახიერდება შესანიშნავ კონკრეტულ გეგმაში. დაახლოებით ასეთია ნორჩი გენიოსის პორტრეტი. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. h3 მb8. ბრეიერის სისტემას სპასკი წარმატებით იყენებდა, მაგრამ პოლგარმა 16. კg5, განსაკუთრებით 17. კh4 თამამი სვლით მას დიდი სირთულეები შეუქმნა. 10. d4 მbd7 11. მbd2 კb7 12. კc2 ეe8 13. მf1 კf8 14. მg3 g6 15. b3 d5 16. კg5 h6 17. კh4 d:e4 18. მ:e4 g5 (ფაქტობრივად იძულებითია, რადგან ცუდია მყისვე ცენტრის განტვირთვა დაძაბულობისაგან: 18. ... ed 19. მ:f6 მ:f6 20. ე:e8+—) 19. d:e5 მ:e4 20. კ:e4 კ:e4 21. ე:e4 g:h4 22. ეd4 ეe7 23. e6 f:e6 24. მe5, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მე-17 სვლაზე სპასკი ამ პოზიციას ვერ ხედავდა.

24 ... ეg7 25. ე:d7 ლg5 26. ლf3 ეd8 27. ე:g7 ლ:g7 28. ეe1 კc5 29. მg4 ლg6 30. ლf4 კb6 31. მ:h6 მფg7 32. ლ:h4 (სავარაუდებელია, რომ სპასკიმ ახლა დაინახა, რომ თუ 32. ... ეh8, მაშინ 33. ლe7 მფ:h6 34. ე:e6+—), 32. ... ლf6 33. ლ:f6 მფ:f6, დაფაზე უკვე ენდშპილია. 34. ეe2 ეd1 35. მფh2 ეc1 36. g4 ე:c3 37. h4 ეd3 38. g5 მფe7 39. g6 მფf8 (თუ 39. ... მფf6, მაშინ 40. მg4 მფ:g6 41. მe5+—) 40. ე:e6 ეf3 41. მg4 ეf5 42. მფg3, გასრულდა თეთრი ძალების კონსოლიდაცია. სპასკი დანებდა.

ქართული ჭადრაკის წარსულიდან.

მინიატურა პირველი თანრიგის მოსაპოვებელი ტურნირიდან. ნერსესოვი — წერეთელი. ინგლისური. თბილისი, 1936 წელი. მარიამობისთვე. 1. c4 e5 2. მf3 e4 3. მd4 მc6 4. მc2 მf6 5. მc3 კc5 6. a3 a5 7. g3 მe5 8. b3?! d5 9. c:d5?

(საჭირო იყო 9. კg2, ახლა თეთრები ჩქარა აგებენ) 9. ... კg4!

(იმუქრება 10. ... მd3) 10. f3 მd3! 11. e:d3 e:f3 12. კe2 f2, ნერსესოვი დანებდა, რადგან მომდევნო სვლაზე შამათია.

ცხონება

ნიკოლოზ მეტრეველი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი, შრომისა და ომის ვეტერანი, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ სიმონის ძე მეტრეველი.

იგი დაიბადა 1914 წელს გორში, წარმატებით დაამთავრა თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი და 20 წელზე მეტ ხანს ემსახურა თავის საყვარელ საქმეს, ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები პოსტი. 1948 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

1958 წლიდან 1974 წლამდე, პენსიაში გასვლამდე, ნიკოლოზ მეტრეველი სათავეში ედგა საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და თავდადებული მუშაობით დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას.

მისი ღვაწლი მრავალგზის აღინიშნულა სხვადასხვა ჯილდოთი.

წავიდა ჩვენგან გულისხმიერი ადამიანი, ერუდირებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება, საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირი.

პრივატიზება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რუსთავის სამმართველოს განცხადება

1993 წლის 27 მარტს, 12 საათზე რუსთავის მერიის სააქტო დარბაზში ეწყობა აუქციონი.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

1. ქ. რუსთავის № 2 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური. ექსპლუატაციაშია 1976 წლიდან, საწვავის ტევადობით 228 მ³. ბენზინის გასამართი 5 სვეტით, 2 ზეთის გასამართი სვეტით. საოპერატორო ოთახი 20 კმ მ დაკავებული მიწის ფართობი 0,21 ჰა, საწყისი გასაყიდი ფასია 983820 მანეთი.

2. რუსთავის № 3 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური. ექსპლოატაციაშია 1976 წლიდან, საწვავის ტევადობით 190 მ³, 6 ბენზინის გასამართი სვეტით, 2 ზეთის გასამართი სვეტით, საოპერატორო ოთახი 12 კვ მ, მიწის ფართობი 0,095 ჰა, საწყისი გასაყიდი ფასია 1017999 მანეთი.

ბენზინის გასამართი სადგურების გაყიდვის შემთხვევაში მიწის ფართობით სარგებლობა მყიდველის მიერ განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განცხადების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე წყდება 24 საათით ადრე აუქციონის დაწყებამდე.

მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. № 20. ტელ.: 12-11-88; 12-50-82.

თბილისის გამოყენებითი ქიმიისა და ბიოლოგიის უმაღლესი სასწავლებელი და მასთან არსებული „ბუნებათმცოდნეობის“ კოლეჯი (10, 11 კლასები)

1993 წლის 1 სექტემბრიდან იწყებს ფუნქციონირებას.

უმაღლესი სასწავლებელი აცხადებს საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტებისა და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კურსებზე.

აბიტურიენტები მოემზადებიან შემდეგ საგნებში: ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, მშობლიური ენა და ლიტერატურა.

სწავლა დაიწყება 15 მარტს. აბიტურიენტი, რომელიც წარმატებით დაამთავრებს მოსამზადებელ კურსებს, უგამოცდოდ ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში. საბუთები მიიღება ყოველდღე 12-დან 16 საათამდე.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

საბუთების ჩაბარება და დამატებითი ცნობების მიღება უმაღლეს სასწავლებელში, „ბუნებათმცოდნეობის“ კოლეჯსა და მოსამზადებელ კურსებზე შემსვლელებს შეუძლიათ მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქუჩა 2, 72-ე საშუალო სკოლის შენობა, მეორე სართული, ოთახი № 1. ტელეფონი: 67-98-75.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვის ოპერაციებს რუსეთიდან საქართველოში უმოკლეს ვადებში, თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით. ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია:
ქ. თბილისში: 36-09-29; 36-27-74 (11-დან 14 სთ-მდე).
ქ. მოსკოვში: (095) 378-79-78.

თუ გსურთ ადვილად, უმოკლეს ვადებში გაყიდოთ ან იყიდოთ ბინა და გააფორმოთ, დაიქირაოთ ან გაცვალოთ ბინა, ამ საქმეში თქვენი საიმედო პარტნიორია საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 11, ტელეფონები: 22-04-16; 22-26-07.

დიაბეტით დაავადებულთა საყურადღებოდ!

მსოფლიოში ტექნიკური აზრის უნიკალური მიღწევა — ადამიანის სამსახურში

სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტს“, როგორც შარშან, აქვს საშუალება შეიძინოს და მსურველებს მიჰყიდოს ცნობილი ფირმა „ბაიერის“ მიერ დამზადებული ოჯახის პირობებში სისხლში შაქრის განმსაზღვრელი აპარატურის კომპლექტი, რომელიც ერთ წუთში იძლევა პასუხს. კომპლექტში შედის: სისხლის განმსაზღვრელი აპარატი 10 წლის გარანტიით, წკირები სისხლის წვეთის ფიქსირებისათვის 100 ანალიზის სამყოფი და სისხლის უმტკივნეულო ასაღები ნემსები 1 წლის მარაგით.

მსურველებს ვთხოვთ მიმართონ კონცერნ „საქკურორტს“, თბილისი 380007, მთაწმინდის რაიონი, გერგეტის ქ. № 8. ტელეფონები: 93-18-22, 98-24-81.

ამინდი კარგი იქნება

მარტის პირველი კვირა საქართველოს მცხოვრებლებს კარგი ამინდით გაახარებს, გვარწმუნებენ რესპუბლიკის სინოპტიკოსები. მხოლოდ ცალკეულ რაიონებშია მოსალოდნელი მცირე ნალექი, და ისიც მთებში თოვლის სახით. მაგრამ საყურადღებოა ერთი რამ: დათბობის გამო მთებში მატულობს ზვავების ჩამოწოლის საფრთხე.

— შავი ზღვის სანაპიროზე და კოლხეთში დღისით 8-13 გრადუსამდე, ქართლისა და კახეთის ბარში კი 9 გრადუსამდე სითბო იქნება, — თქვა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოპროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა. — 6 გრადუსამდე ყინვა, და ისიც მხოლოდ ღამით, მოსალოდნელია მხოლოდ მაღალმთიან რაიონებში.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

შაბათი

27 თებერვალი

10.05 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.15 — მოსწავლეთათვის — მხატვრის სახელოსნოში — სტუმრად ქეთევან მატაბელთან. 11.00 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე. 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — დროზე — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 15.55 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 16.15 — განცხადებები. 16.20 — ხალხური შემოქმედება — ქართული ფოლკლორის მოამაგენი — აკაკი შანიძე. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — „ბუნების კარი“. 18.05 — ხელოვნების ლექტორიუმი. 18.35 — ხალხური შემოქმედება — მღერის ანსამბლი „კოლხეთი“. 19.20 — „ჩვენ ყოველთვის ქართველები ვიყავით!...“ — ინტერვიუ ოთარ შალიკაშვილთან. 19.50 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — „27“ — სატელევიზიო პროგრამა. 21.30 — საკალათბურთო მიმოხილვა. 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ილუზიონი. 23.50 — ქვიშის საათი. — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა

28 თებერვალი

10.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.35 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ციცინათელას საფლავი“. 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — საკვირაო გამოფენა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.45 — საკვირაო გამოფენა. 12.50 — მოსწავლეთათვის — პატარა ამბები დიდ თემებზე. 13.20 — საკვირაო გამოფენა. 13.25 — გზის გასაყართან. 14.15 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 14.25 — სიტყვა საქართველოზე. 15.25 — გახსენება — ვახტანგ ჭაბუკიანი. 16.10 — ბიზნესკლუბი. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.20 — კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „შთამომავლობა“. 19.45 — ბასტი-ბუბუ. 20.15 — კვირიდან კვირამდე — საერთაშორისო მიმოხილვა. 20.55 — რეკლამა. 21.00 — მხედრი — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — 45 წუთი — სპორტული პროგრამა. 22.45 — საღამო მშვიდობისა! 0.45 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

1 მარტი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ქართული მხატვრული ფილმი „დედუნა“. 18.20 — განცხადებები. 18.25 — მღერის ანსამბლი „ხმები“. 18.40 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.50 — ეთერშია ქალაქის ჯანმრთელობის ცენტრი. 19.05 — რამპა. 19.10 — გზის გასაყართან. 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია“. I სერია. 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები — ფ. სინატრა. 23.50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

სამშაბათი

2 მარტი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი „ციყვუნია მიკის თავგადასავალი“. 18.20 — განცხადებები. 18.30 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.00 — თუ მუსიკა გიყვართ... — უკრავს დავით დავლიანიძე. 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია“. II სერია. 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მსოფლიო საოპერო ხელოვნების საგანძურიდან — ჯ. პუჩინი. ოპერა „ბოჰემა“. 0.10 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66484